ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

ხუთშაბათი, 20 ივნისი, 2019 №144 (8098) ფასი: 60 თეთრი

„ოცნებამ“ ქართველების მკვლელ გავრილოვს სახელმწიფო დაცვა დაუნიშნა

გვ.4

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

„მე მიყვარს კითხვა“

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

„ივანიშვილს ნაციონალებთან ალიანსი ურჩევნია ვასაძესთან კავშირს“

გვ.2

რუსული გეგმა საქართველოს წინააღმდეგ – მეუფე შიო პატრიარქი უნდა გახდეს, ლევან ვასაძე ხელისუფლებაში მოვიდეს

გოჩა მირცხულავა: „მთავრობაში ისეთი იდიოტებიც არ არიან, რომ რაინდს საკუთარი ლეგიონის შექმნის უფლება მისცენ“

„ვასაძე ივანიშვილს ხმებს წაართმევს“

თორნიკე შარაშენიძე: „ვადამდელი არჩევნები ვერ მოესწრება“

გვ.3

გია ბარამიძე: „პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად ქუჩის აქციებსაც გამოვიყენებთ“

„ივანიშვილი ხვდება, რომ მისი პოლიტიკური მზე ჩაესვენა და შესაძლოა ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“

გვ.4

სამართალი გვ.7

ქუთაისში ირაკლი კანკიამ დედის, ნანა ბერიას, ბინა ააფეთქა

მსახიობი გალინა ხვიჩია ბორჯომში ავარიაში დაიღუპა

ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს ბრალი წარუდგინეს

ბიძის მიერ მოკლული 13 წლის ძმისშვილის საქმე გრძელდება

ეკონომიკა გვ.6

ომბუდსმენი: „საქართველო თავშესაფრის მაძიებლებს უარს დაუსაბუთებლად ეუბნება“



„ხრუშჩოვკების“ მშენებლობით „არქიმ“ სოციალური პასუხისმგებლობა აიღო, რათა კალაძის პრესტიჟი გადაერჩინა“

ბექა დავითულიანი: „ქალაქის იერსახის დამახინჯება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება“

ISSN 1987-9385

5 რუსეთმა და ჩინეთმა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ანტიამერიკული პლატფორმა ჩამოაყალიბეს

8 მერკელი: „დონბასი და ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს“

3 დავით ბერძენიშვილი: „ეს ხელისუფლება დაიმარხება, თუ რამე მოხდა“

5 გიორგი ლაღიძე: „პრაიდის თემა ხელოვნურადაა აგორებული“

„ივანიშვილს ნაციონალებთან ალიანსი ურჩევნია ვასაძესთან კავშირს“

რუსული გეგმა საქართველოს წინააღმდეგ – მეუფე შიო პატრიარქი უნდა გახდეს, ლევან ვასაძე ხელისუფლებაში მოვიდეს

შორენა მარსაგიშვილი

გოჩა მირცხულავა: „მთავრობაში ისეთი იდიოტებიც არ არიან, რომ რაინდს საკუთარი ლეგიონის შექმნის უფლება მისცენ“

შეიქმნება თუ არა ახალი მხედრიონი, რის გაკეთებას გეგმავდა და რა მიზანი აქვს ლევან ვასაძეს, რა უნდა რუსეთს, არის თუ არა მზად პროვოკაციებისთვის საქართველოს ხელისუფლება? – ამის შესახებ „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი გოჩა მირცხულავა ესაუბრება.

– რაინდად წოდებული ლევან ვასაძე ჯერ კიდევ მაისის თვეში ემუქრებოდა ხელისუფლებას დამხობით. თქვენ მაშინ ჩვენთან საუბარში აღნიშნეთ, რომ ის საქართველოში ხელისუფლების შეცვლას ვერ შეძლებდა. პირველი მუქარიდან ერთი თვის თავზე თავის სამწყსოს კომბლებით შეიარაღებისკენ და ლეგიონის შექმნისკენ მოუწოდა. რა უნდა ამ კაცს?

– ის რაც დღეს საქართველოში ხდება, არის ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს. ბოლო კვირები ინტერვიუებით და პუბლიკაციებით ვცდილობდი გამეფრთხილებინა საზოგადოება. სამწუხაროდ, ჩვენმა საზოგადოებამ ეს გაფრთხილება არაფრად ჩააგდო. ჩვენ თვალს ხომ მხოლოდ მაშინ ვახელთ, როცა კრიზისი კარზე დაუკაკუნებს.

გავიხსენოთ ახლო წარსული, როგორც კი თბილისში პრაიდის ჩატარების შესახებ გავრცელდა ინფორმაცია, პირველი, ვინც გააქტიურდა, იყო სანდრო ბრეგაძე. დღეს სანდრო ბრეგაძეს გარეთ ვერ ვხედავთ.

– იმ პერიოდშივე გააქტიურდა ვასაძეც. ამაზე სანდრო ბრეგაძე ძალიან გაბრაზდა და მასზე ათასი სისაძაგლე თქვა.

– ისინი ჯერ კიდევ ბავშვობიდან ვერ იტანენ ერთმანეთს. შესაბამისად, ერთსა და იმავე ველზე მათ ოპერირება გაუჭირდებოდათ. ბრეგაძემ და ქართულმა მარშმა ძალიან მარტივად დაუთმეს ასპარეზი რაინდს.

მათ შორის კი არის დაპირისპირება, მაგრამ აქ მთავარი არის დავალების გამცემი. თუ მათ ერთი და იგივე პატრონი ჰყავთ, მაშინ ეს პატრონი გადაწყვეტს, ვინ უნდა იაქტიუროს. დავალების გამცემი წყვეტს, რომელი კოზირი უნდა გაათამაშოს. დღეს ასეთი კოზირი არის ვასაძე.

– რატომ გადაწყვიტა დავალებების გამცემმა ამ კოზირის გათამაშება?

– საქართველოში არსებობენ პრორუსული პარტიები, რომლებმაც მოსკოვი ან გადააგდეს, ან იმედები გაუცრუეს. რაინდი იყო ერთადერთი გაუთამაშებელი კარტი ქართულ პოლიტიკაში, რომელსაც რუსეთი ამ დრომდე ინახავდა. შემიძლია დავწვრილმანდე და ვთქვა, რომ ამ კარტს გრუ ინახავდა.

დღეს მოსკოვს ამ კარტის გათამაშება საქართველოში დესტაბილიზაციის შესაქმნელად სჭირდება. რუსეთს უნდა, რომ საქართველოს მოქალაქეებს გაუჩინოს განცდა, რომ ისინი არიან დაუცველები.

საბჭოთა კავშირის დროს, ცეკას მეორე მდივანი რუსეთიდან გამოგზავნილი კაცი იყო. ახლა თავის კაცს ასე ვეღარ დასვამენ ხელისუფლებაში. მათ სჭირდებათ ვიღაც ქართველი, რომელსაც ექნება ურაპატრიოტული ნარატივები, ცრუ ნაციონალისტური გამოხდომები. ეს ადამიანი ამ თვისებებით ადვილად დააბოლებს ხალხს და დაარწმუნებს, რომ ის არის საქართველოს გადამრჩენელი.

ვასაძეს ახლა მისცეს კონკრეტული დავალება, რომ გააქტიურებულიყო და ისიც გააქტიურდა. ის ამ შემთხვევაში დავალებებს ასრულებს, თორემ არა მგონია, მის მდგომარეობაში მყოფი და კიდევ ერთხელ ვიმეორებ, არა მგონია, მის მდგომარეობაში მყოფი კაცი დიდი სიხარულით იდგეს სხვისი უკანალების სიწმინდის დაცვის სადარაჯოზე.

– ორჯერ გაიმეორეთ მის მდგომარეობაში მყოფი კაციო და რას გულისხმობთ?

– ამას თავად ვასაძე მიხვდეს. მე დაკონკრეტებას არ ვაპირებ, ამაზე საუბარი რაინდისთვის უხერხულია.

საუბრები იმაზე, რომ, თუ პრაიდი ჩატარდა, ბავშვები გაირყვნებიან, არის სრული სისულელე. ის უმცირესობები საქართველოში ყოველთვის იყვნენ, ვის წინააღმდეგაც ახლა ჯვაროსნული ომი აქვთ გამოცხადებული.

ის, რომ პრაიდი თუ ჩატარდება, ამას რაღაც საშინელება მოჰყვება, არის რუსული ნარატივი. ერთ-ერთ წინა ინტერვიუში გესაუბრეთ შინსახკომის მდივან ეჟოვზე, რომელიც თვითონ გახლდათ ცნობილი გეი და ყველაზე სასტიკად ის უსწორდებოდა უმცირესობების წარმომადგენლებს.

ჩვენ დღეს იმაზე უნდა ვსაუბრობდეთ, რამდენად აზიანებს ეს პროცესი სახელმწიფოს. ეს პროცესი საქართველოსთვის ძალიან ცუდია. სახელმწიფოს ორივე მხარე აზიანებს.

არავითარი მიუღებლობა არა მაქვს რომელიმე უმცირესობის მიმართ. ქართული საზოგადოების უდიდესი ნაწილი ასევე ტოლერანტულად არის განწყობილი ნებისმიერი უმცირესობების მიმართ.

დიდ უბედურებად მიმაჩნია იმის ძახილი, რომ ჩვენ ვართ ეროვნულ-პატრიოტული სახელმწიფო რელიგიური იდენტობით. ამ დროს გვავიწყდება, რომ ამ რელიგიურ, პატრიოტულ და თურმე მსოფლიოში გამორჩეულ ხალხს მუდმივად მიმღებლობა გვქონდა სხვა ერების მიმართ.

როდესაც ვამბობთ, რომ უნდა ავაშენოთ ეროვნული სახელმწიფო, ჩვენ მივდივართ სუფთა რუსული სცენარით. საქართველო ეროვნული სახელმწიფო ვერასდროს იქნება.

– რატომ ვერ იქნება საქართველო ეროვნული სახელმწიფო?

– იმიტომ, რომ საქართველო ასეთი ქვეყანა არასდროს ყოფილა. ეროვნული და კულტურული იდენტობა სხვაა და ეროვნული სახელმწიფო სხვა.

ჩვენ ვართ ის სახელმწიფო, რომელსაც ტოლერანტობის და კოსმოპოლიტიზმის უდიდესი ტრადიციები აქვს. ჩვენ ხშირად ვიწონებთ თავს ებრაელებთან 26 საუკუნოვანი მეგობრობით. თავს ვიწონებთ იმით, რომ ერთმანეთის გვერდით დგას ეკლესია, მეჩეთი და სინაგოგა. ეს ასე, თავისით კი არ მოსულა.

ძალიან მიკვირს იმ ხალხისაც, რომლებიც ამბობენ, რომ თბილისში პრაიდის ჩატარება არ შეიძლება. დიდი ბოდიში, მაგრამ მათ საქართველოს უახლესი ისტორია არ ახსოვს.

100 წლის წინ იმ უბნებში, რომლებსაც ისინი ისტორიულ უბნებს უწოდებენ, კინტოები დადიოდნენ. კინტოს ფენომენის შესახებ კი ყველამ კარგად ვიცით.

ჩვენ ვართ ტოლერანტი ერი და ვასაძის გამოხდომები არავის აინტერესებს, რომელიც მთარახით და ხელების დაბმით ემუქრება ვიღაცებს.

ახლავე გეუბნებით, რომ ის ვერაფერს გააკეთებს. ვერ გააკეთებს იმიტომ, რომ ბუნებით მხდალი და მშიშარაა. ის, რაც გარეთ გამოდის და მისი ზედმეტი თავდაჯერებულობა არის პოზა იმისა, რომ თავისი სიმხდალე გადაფაროს.

ადამიანების დაკნინება არ მიყვარს და აუცილებლად უნდა ვთქვა, რომ ის საკმაოდ განათლებული და გონიერი ადამიანია. შესაბამისად, ძალიან კარგად იცის, რომ ცუდ სიტუაციაშია მოხვედრილი. ის იძულებულია, ეს დავალებები შეასრულოს. ცუდი არ იქნება, თუ ამ ყველაფერს კარგად გაიაზრებს და ქვეყანას საფრთხეებს არ შეუქმნის.

მეორე მხარესაც მინდა მივმართო, რომელიც ღირსების მარშს მართავს. ქართულ საზოგადოებასთან დამოკიდებულება მათაც უნდა შეცვალონ. ვიმეორებ, ჩვენ ოდითგანვე ტოლერანტები ვართ და უმცირესობების სიცოცხლეს არასდროს ვუქმნიდით საფრთხეს.

ერთ-ერთ ტელევიზიაში ჩატარდა გამოკითხვა, უნდა ჩატარდეს თუ არა პრაიდი. გამოკითხულთა 96%-მა თქვა, რომ ღირსების მარში არ უნდა ჩატარდეს. ისინი მიუღებლობის გამო კი არ ეწინააღმდეგებიან პრაიდის ჩატარებას, არამედ იმიტომ, რომ იქ ძალადობა არ მოხდეს.

მეორე მხარე არ მალავს, რომ ძალადობაზე უარს არ იტყვიან და კომბლებიც მზად აქვთ. კომბლეები თუ არიან, დასხდნენ სახლში და საკუთარ ცხვრებს მიხედონ. მგელი და დათვები თბილისის ქუჩებში არ დადიან.

– მგელი და მტაცებელი თბილისთან საკმაოდ ახლოს არის, მხედველობაში რუსი ოკუპანტები მყავს. მათ წინააღმდეგ ვასაძეს და მის მრევლს კომბალი არასდროს აულესია.

– რუსეთთან მიმართებაში მას საყვედურს ვერ დააცდენინებ, სამაგიეროდ, სხვა საკითხებზე აქტიურობს. ისევ იმ გამოკითხვას დავუბრუნდები, ხალხი მხოლოდ იმიტომ ეწინააღმდეგება ამ პრაიდს, რომ ძალადობა არ მოხდეს.

აუცილებლად უნდა შევეხო ეკლესიის პოზიციასაც. ყველა ადამიანს და მათ შორის სასულიერო პირებსაც აქვთ უფლება, ნებისმიერ პოზიციაზე საკუთარი აზრი დააფიქსიროს. ეკლესია გვეუბნება, რომ პრაიდი არ უნდა ჩატარდეს. მე მაინტერესებს, რატომ დგანან სასულიერო პირები ბარიკადის მხოლოდ ერთ მხარეს. რატომ არ დგას ღვთის არც ერთი მსახური ბარიკადის მეორე მხარეს.

რატომ არ მიდიან იმათთან და არ ეუბნებიან, რომ ბიბლიაში სულ სხვა რამე წერია. ამ ადამიანებს სიყვარულით უნდა ველაპარაკოთ და არა – კომბლეებით.

2013 წლის 17 მაისამდე რამდენიმე დღით ადრე, მე მქონდა კომუნიკაცია საპატრიარქოს ცალკეულ წარმომადგენლებთან. მუხლმოყრილი ვთხოვდი, რომ აქციის მონაწილეებს, რომელთან რაოდენობა 30-ზე მეტი არ იქნებოდა, დალაპარაკებოდნენ სასულიერო პირები, მათ შორის ეპისკოპოსები. ვეხვეწებოდი, ამ ადამიანებით ბიბლიით და სახარებით მიდით-თქო. ვიხვეწებოდი, არ გინდათ სახალხო ლაშქრები, მაგრამ არა.

> **„შეიძლება „ოცნება“ ვიღაცისთვის მიუღებელია, მაგრამ დღეს ეს ძალა მართავს ქვეყანას. ჩვენ ვალდებულები ვართ, მათ დავუდგეთ გვერდით და ვაიძულოთ, რომ კონსტიტუციური უფლებამოსილება განახორციელოს და დაიცვას ყველას უფლებები“**

გინახავთ, რომ საპატრიარქოს რომელიმე უმცირესობის მიმართ სოლიდარობა გამოეხატა? მსგავსი არასდროს ყოფილა. მათი მხრიდან მხოლოდ ის გვესმის, რომ უმცირესობაში ყოფნა ეს არის დიდი ცოდვა და ა.შ.

საინტერესოა, ვინ ზომავს ცოდვის სიდიდესა და სიცრუეს, ასეთი განმარტება ბიბლიაში არ არის.

ზემოთ ვახსენე ჰიბრიდული ომი, რომელსაც რუსეთი საქართველოს წინააღმდეგ აწარმოებს. ამ ომში საქართველოს საპატრიარქოსაც აქვს დავალება. მან უნდა მოახდინოს საკუთარი ძალის დემონსტრირება, დაუშანტაჟოს ხელისუფლება. ამ პროცესს სრულად მართავს შორენა თეთრუაშვილი.

მათ სურთ, რომ საბოლოოდ მიიღონ მოცემულობა, რომ ვერც ერთი ეპისკოპოსი, ვერც ერთი ღვთისმსახური ვერ წავიდეს მეუფე შიოს პატრიარქად არჩევის წინააღმდეგ.

ამ ჰიბრიდულ ომს მეორე მიზანიც აქვს – საერო ხელისუფლებაში ლევან ვასაძე უნდა იყოს ხელდასმული, როგორც ეროვნული იდენტობის გამომხატველი და დამცველი რაინდი. ამის გარდა, რუსეთის ინტერესებშია, რომ საქართველო მუდმივი დესტაბილიზაციის პირობებში იყოს.

შორს ვარ იმ აზრისგან, რომ ბატონი ვასაძე წარმატებას მიაღწევს, თუმცა მან სახელმწიფოში დესტაბილიზაცია უკვე გამოიწვია.

ნამდვილად არ მინდა ვაძაგო ხელისუფლება, რომ ამ ყველაფრის პრევენცია ვერ მოახდინეს, მაგრამ მათ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გაექცეთ პროცესები ხელიდან. ამ შემთხვევაში ყველა გონიერი მოქალაქე სახელმწიფოს მეკავშირე უნდა იყოს.

შეიძლება „ოცნება“ ვიღაცისთვის მიუღებელია, მაგრამ დღეს ეს ძალა მართავს ქვეყანას. ჩვენ ვალდებულები ვართ, მათ დავუდგეთ გვერდით და ვაიძულოთ, რომ კონსტიტუციური უფლებამოსილება განახორციელოს და დაიცვას ყველას უფლებები.

ნებისმიერი გადაცდომა, რომელიც ამ პროცესში იქნება გამოვლენილი, სამაგალითოდ უნდა იყოს დასჯილი. ვიღაცის დასჯის შესახებ ინფორმაცია საჯარო უნდა გახდეს, თორემ სახალხოდ არავის გაროზგვას არ ვითხოვ.

დამნაშავე სამაგალითოდ უნდა დაისაჯოს, რათა მომავალში მსგავსი რამის გაკეთების სურვილი აღარ გაუჩნდეს.

– საუბარი მიდის იმაზეც, რომ ის, რასაც დღეს რაინდი აკეთებს, ივანიშვილთან არის შეთანხმებული.

– არა, არა, არა! ივანიშვილი არ არის უჭკუო ადამიანი. არაგონიერი რომ ყოფილიყო, ამხელა წარმატებას ვერ მიაღწევდა ვერც ბიზნესში და ვერც პოლიტიკაში.

ერთადერთი, ვის დავალებებსაც ლევან ვასაძე ასრულებს, არის რუსეთი. შესაბამისად, ვინც არ უნდა დადოს მასთან გარიგება, რაინდი ყველას გადააგდებს. ყველას ზემოდან დაუწყებს ყურებას. გავიხსენოთ, როგორ ემუქრებოდა ივანიშვილს და ხელისუფლებას.

არა მგონია, რომ რაც დღეს ხდება, იყოს თამაში. სამაგიეროდ, არ გამოვრიცხავ, რომ ივანიშვილმა საბოლოოდ ჩამოხსნას ვასაძეს ნიღაბი და ხალხს მისი ნამდვილი სახე დაანახოს.

დღეს ამის გაკეთება ივანიშვილს სიტუაციურად სჭირდება, თორემ გუშინ და გუშინწინ ისინი ერთმანეთსაც შეხვედრიან და ხელიც ჩამოურთმევიათ.

დამიჯერეთ, დღეს „ოცნების“ ლიდერისთვის ნაციონალებთან და „ევროპულ საქართველოსთან“ ალიანსი უფრო მისაღებია, ვიდრე ვასაძესთან.

– ვასაძის და მისი მომხრეების მხრიდან ლეგიონის შექმნაზე გაკეთდა განცხადებები. თქვენი აზრით, ახალი მხედრიონის შექმნის მომსწრენი ხომ არ გავხდებით?

– დაახლოებით ერთი თვის წინ მე მქონდა კონკრეტული ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რის გაკეთებას აპირებდა ლევან ვასაძე. ამასთან დაკავშირებით მოსაზრებები გავუზიარე იმ ადამიანებს, ვისაც ამ მიმართულებით პრევენციული ზომების მიღება შეეძლო

დღემდე საჭიროდ არ მივიჩნევ ამ ინფორმაციის საჯაროდ გამოტანას. მხოლოდ იმას გეტყვით, რომ ამ გეგმის თანახმად, ვასაძე ზეაღმატებულად უნდა წარმოჩენილიყო. ძალიან გამიკვირდა რაინდის უტვინობა, რომელმაც ამ გეგმის დეტალები სხვა მიმართულებით წაიყვანა.

დარწმუნებული ვარ, რომ მის გეგმებთან დაკავშირებით ზუსტი ინფორმაცია მქონდა. მას წამოსცდა, რომ სადღაც რაღაც უნდა მოხდეს.

სახელმწიფომ ვასაძეს საკუთარი ლეგიონის შექმნის შესაძლებლობა არ უნდა მისცეს. მთავრობამ იცის, რომ თუ ამას დაუშვებენ, ისინი ძალიან ცუდად დაასრულებენ. შეიძლება „ოცნება“ არ მომწონს, მაგრამ იქ ისეთი იდიოტებიც არ არიან, რომ რაინდს საკუთარი ლეგიონის შექმნის უფლება მისცენ.

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაგურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„ვასაძე ივანიშვილს ხმებს წაართმევს“

თორნიკე შარაშენიძე: „ვადამდელი არჩევნები ვერ მოესწრება“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი საერთაშორისო საკითხებში თორნიკე შარაშენიძე პასუხობს.

– ბატონო თორნიკე, რაღაც სხვაგვარად ლაგდება პოლიტიკურ ველზე სიტუაცია. საუბარია, რომ ლევან ვასაძის პოლიტიკურ ასპარეზზე გამოყვანა ბიძინა ივანიშვილის ინტერესებში შედის. ითქვა ისიც, რომ ოპოზიციური პარტიების გასანეიტრალებლად სჭირდება ბიძინას ლევან ვასაძე. რას იტყვით თქვენ?

– ძალიან ძნელი სათქმელია, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა. შესაძლოა აწყობდეს ძალიან რეაქციული ძალის გამოჩენა ხელისუფლებას, რათა მის ფონზე გამოჩნდეს ნორმალური და ზომიერი. რამდენად არის ეს ხელისუფლების შემოგდებული, მიჭირს ამის თქმა. გასაგებია, რომ ბევრს აქვს ცდუნება, ყველაფერი დააბრალოს ივანიშვილს. დაახლოებით ისე, როგორც პუტინს აბრალებენ მსოფლიოში ყველაფერს. იდეაში ლოგიკურია, რომ აწყობდეს ხელისუფლებას, რადგან მის ფონზე უფრო ნორმალური გამოჩნდება „ქართული ოცნება“.

– რამდენიმე დღეა, რაც ლევან ვასაძე გააქტიურდა და უკვე დიდი ნეგატივი დაგროვა კომბლებზე საუბრითო.

– ნეგატივი დაგროვა საზოგადოების ერთ ნაწილში, მაგრამ დიდი ეჭვი მაქვს, რეიტინგი აკრიფა საზოგადოების მეორე ნაწილში. არის საზოგადოების ნაწილი, რომელსაც მოკალით და არ მოსწონთ რაღაც-რაღაცები. არ მოსწონთ ელგებეტე პრაიდი და რა ვუყოთ ახლა?! ესენიც ჩვენი მოქალაქეები არიან, უხსნიან, არ ესმით, რა უნდა გავაკეთოთ? სწორედ ამ მოქალაქეებში რეიტინგს კრებს ვასაძე.

– ამ კუთხით უნდა, რომ მოიპოვოს პოპულარობა?

– რატომაც არა?! ეს ნიშა ჯერ კიდევ აუთვისებელია და ვასაძისნაირი ტიპი, თან ბიზნესმენი, უცხოეთში განათლებამიღებული, ცოტა იდუმალი, ცოტა ქარიზმატული ტიპი – მას ნამდვილად აქვს შანსი, ამ ტიპის მოქალაქეებში აკრიფოს რეიტინგი და ეს ნიშა დაიკავოს.

– ვინმესგან შეიძლება იყოს ის მართული? ხელისუფლებას რაში უნდა აწყობდეს დესტაბილიზაცია?

– არ ვიცი, პოლიტიკურად რამდენად იმართება და რამდენად უხდის მას ფულს მოსკოვი, ეს არ ვიცი და პირდაპირ ხელის დადება არ მიყვარს ხოლმე თუ არ მაქვს კონკრეტული ფაქტები. მაგრამ იდეურად ის რომ აშკარად მიბმულია პუტინისნაირ ტიპებთან, რეაქციულ ძალებთან, ეს ფაქტია და ჩანს პირდაპირ.

ამას თვითონაც არ მალავს და პირიქით, ეამაყება.

– ამ ყველაფერში ხელისუფლების ინტერესი სად არის?

– ერთი მხრივ, არ არის გამორიცხული, რომ ხელისუფლების ინტერესებში შედიოდეს, მაგრამ, მეორე მხრივ, მან ამ მუშაობით შეიძლება დაარტყას სწორედ „ოცნებას“. შესაძლოა, ეს სერიოზულ პრობლემად იქცეს მათთვის.

– რა პრობლემა შეიძლება შეუქმნას?

– ვასაძე ვერანაირად ჩაანაცვლებს ნაციონალების ელექტორატს და მისგან ახალ ბუას ამ თვალსაზრისით ვერ შექმნის, ის სულ სხვა ელექტორატია. თუმცა პრობლემა შეიძლება იყოს ის, რომ მან შეიძლება პირდაპირ ივანიშვილს წაართვას ამომრჩეველი, ეს კი სერიოზული პრობლემა იქნება.

– ქაოსის შემოტანის მცდელობაა ეს ყველაფერიო და მაინც ხომ არ უმიზნებს ვადამდელ არჩევნებს ივანიშვილი?

– არა მგონია. ყოველ შემთხვევაში, წელს არჩევნები ვეღარ მოესწრება. პროცედურულად ვეღარ მოესწრება, ასე მარტივი არ იქნება. ერთადერთი შეიძლება გადმოიწიოს რამდენიმე თვით და ჩატარდეს 2020 წლის გაზაფხულზე და არა – შემოდგომაზე. მე სხვა შანსს ვერ ვხედავ.

– როგორ განლაგდებიან პოლიტიკური პარტიების 2020 წლისთვის საჭადრაკო დაფაზე?

– 3%-იანი ბარიერია და ამიტომაც ნაკლებად არის გაერთიანებისკენ სწრაფვა. რაღაცრაღაცები უკვე ლაგდება და ამას ვუყურებთ. უსუფაშვილი წავა ევროპული საქართველოსკენ, ეს ხაზი აშკარად გამოიკვეთა. იქით ოქრუაშვილი, გუბაზი და ვიღაც-ვიღაცები ცალკე დალაგდნენ. ნაცმოძრაობა თავის გაერთიანებულ ოპოზიციასთანაა დალაგებული.

„წელს არჩევნები ვეღარ მოესწრება. პროცედურულად ვეღარ მოესწრება, ასე მარტივი არ იქნება. ერთადერთი შეიძლება გადმოიწიოს რამდენიმე თვით და ჩატარდეს 2020 წლის გაზაფხულზე და არა – შემოდგომაზე. მე სხვა შანსს ვერ ვხედავ“

„ქართულ ოცნებას“ ეყოლება რამდენიმე სატელიტი პარტია, მაგალითად, ძიძიგურის კონსერვატორები, სოცდემოკრატები და პატრიოტებიც არ დავივიწყოთ, მათ თავიანთი ამომრჩეველი ჰყავთ.

– ანუ შესაძლოა მივიღოთ საკმაოდ ჭრელი პარლამენტი?

– კი, 3%-იანი ბარიერი თავისთავად გულისხმობს სიჭრელეს.

– ძალიან ძნელია გამოიცნო, რა ჩაიფიქრა ივანიშვილმა 2020-ისთვის, მაგრამ მაინც, რას გეგმავს ის?

– გეგმავს არჩევნების მოგებას. მის ხელშია ადმინისტრაციული რესურსი ძალოვნების ჩათვლით და, მით უმეტეს, მის ხელშია მაჟორიტარები. ეს სერიოზული ფორაა. შესაბამისად არჩევნების მოგებისთვის გადასარევი შანსები აქვს. რამე თუ არ შეიცვალა, დღევანდელი განლაგებით „ოცნებას“ არჩევნები მოგებული აქვს.

შესაძლოა, გაერთიანებულ ოპოზიციაში ზოგს რაღაც ილუზიები აქვს, მაგრამ ეს ილუზიები საიდან მოდის, პირადად მე არ მესმის. მათ თუ რაღაცა არ შეცვალეს, თუ სერიოზული დისკომფორტი არ შეუქმნეს „ოცნებას“ და შეცდომები არ დააშვებინეს, „ოცნება“ წელსაც და გაისადაც არჩევნებს იგებს.

– ამის გაანალიზებას რატომ ვერ ახერხებს ოპოზიცია?

– რა გითხრათ, აბა? მათ აკლიათ რესურსი, პირველ რიგში კი, ფინანსური. იმთავითვე დიდი ფორა აქვს „ოცნებას“ და ეს ფორა რომ გადატეხო, ადმინისტრაციულის, მაჟორიტარების ფორა, გჭირდება საკმაოდ დიდი უპირატესობა. ეს უნდა იყოს არა 55/45-ზე ნაცმოძრაობის სასარგებლოდ, არამედ ეს უნდა იყოს 70/30-ზე.

ფაქტია, რომ ამხელა უპირატესობა არა აქვს ნაცმოძრაობას. ბოლო რამდენიმე არჩევნებმა აჩვენა, რომ ქუჩაში ხალხის მასობრივად გამოყვანის რესურსიც არ აქვს ნაცმოძრაობას. სააკაშვილს უნდოდა, მაგრამ ნაცმოძრაობის ლიდერები მიხვდნენ, რომ ეს არ იყო რეალისტური და უარი თქვეს ამ გეგმაზე და ამ სიტუაციიდან გამომდინარე, არჩევნებს იგებს „ოცნება“.

არის ელექტორატი, რომელსაც არც „ოცნება“ მოსწონს და არც ნაციონალები, ამიტომ ხმას მისცემს სხვას და ამ 3%-იანი ბარიერის წყალობით, ეს ხმები არ დაიკარგება და მოხვდება პარლამენტში.

– გააჩნია, პარლამენტში ვის მხარეს წავა ეს ხმები, შიგნითაც ხომ საჭიროა უმრავლესობის შექმნა?

– კი, გასაგებია, მაგრამ არა მგონია, „ოცნებას“ დასჭირდეს კოალიციისთვის ვიღაცასთან შეკვრა. თუ მოიგებს, მოიგებს ისე, რომ არ დასჭირდება. იმის შანსიც მიზერულია, რომ ოპოზიციამ შეძლოს და საარჩევნო სისტემა შეაცვლევინოს „ოცნებას“. დრო გადის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ამას პროცედურულად ვერ მოასწრებენ. შეიძლება მოხდეს ისეც, რომ შეიცვალოს რაღაცა სწრაფად და „ოცნებამ“ კატასტროფულად წააგოს არჩევნები.

– ეს რამ შეიძლება გამოიწვიოს?

– როდესაც სისტემა ასე არაჯანსაღია, შეიძლება შიგნით რაღაცა აუფეთქდეთ, ისე, როგორც 2012 წელს შიგნით აუფეთქდა ნაცმოძრაობას სისტემა. როდესაც გამოდის ვასაძე და თავის თავს უფლებას აძლევს თქვას, მე დავამყარებ წესრიგს კომბლებითო, ეს არის იმ არაჯანსაღი სისტემის შედეგი, რომელიც შექმნა „ოცნებამ“ ამ 7 წელიწადში.

დავით ბერძენიშვილი: „ეს ხელისუფლება დაიმარხება, თუ რამე მოხდა“

ნათია ხურცილავა

რესპუბლიკური პარტიის ერთ-ერთი ლიდერი დავით ბერძენიშვილი „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

– ბატონო დავით, „თბილისი პრაიდის“ ორგანიზატორები აცხადებენ, რომ მარში მაინც გაიმართება. ლევან ვასაძემ კი მხარდამჭერებს კომბლების სხვენში შეწყობისკენ მოუწოდა. თქვენ რა მოლოდინი გაქვთ და როგორი უნდა იყოს სახელმწიფოს პოზიცია?

– ხელისუფლებას კონსტიტუციით, კანონით, მორალით და, საერთოდ, ყველაფრით ევალება, რომ გამოხატვის თავისუფლება დაიცვას. დაიცვას თითოეული ადამიანი და მისი უფლებები.

რაც შეეხება მოლოდინს, მე არ მაქვს მოლოდინი, რომ რაიმე კატასტროფული მოხდება. ასეთი რამ რომ დავუშვა, ეს ქვეყნისთვისაც ცუდი იქნება და ეს ხელისუფლება ხომ საერთოდ დაიმარხება. მას არ გაუჭირდება პროცესების მართვა. უბრალოდ, ამდენი ხნის განმავლობაში ვასაძისნაირ ჯგუფებს თვითონ იყენებდა საპატრიარქოსთან ერთად დემოკრატიული მოთხოვნების მატარებელი ხალხის წინააღმდეგ.

ასე იყო შარშან, 12 მაისს კლუბ „ბასიანთან“ დაკავშირებით. ასე იყო მანამდე სექსუალური უმცირესობებისა და მათი უფლებების დამცველებთან დაკავშირებით. გამოიძახებს ამ „ბუა“ ხალხს და მერე დემონსტრანტებს ეტყვის, რომ ვერ გიცავთ, მერე ჩასვამს ყვითელ ავტობუსებში და ასე, თითქოს წარმატებული გამოდის.

ახლა, უკვე ეს ვითარება აღარ იქნება. ლგბტ-თემის წარმომადგენლები სწორად მოიქცნენ, როდესაც თქვეს, რომ ისინი მარშს არ გადადებენ. მათ სოლიდარობას ვუცხადებ.

– თქვენ როგორ ფიქრობთ, საზოგადოების განწყობები როგორია?

– მე ვფიქრობ, რომ ამ პროცესში ქართველი საზოგადოების ზრდის პროცესის მოწმენი ვართ. ლაპარაკი იმაზე კი არ არის – ვინ ემხრობა ან ვინ არ ემხრობა. დღეს საკითხი არც გეიქორწინების თაობაზე დგას, ამ ტიპის საკითხები არ დგას, ამ საკითხებზე ყველა ქვეყანაში არის კამათი. თუმცა, დასავლეთის ყველა ქვეყანაში მათ საზოგადოებაში გაცილებით მეტი ლეგიტიმაცია აქვთ, ვიდრე ჩვენთან, მაგრამ ეს პროცესია: სულ რამდენიმე ათეული წლის წინ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა იყო. მერე იყო: იყავით სახლში, ოღონდ თვალში ნუ გვეჩხირებით. ახლა – ევროპაში, ამერიკაში, ავსტრალიაში, ყველგან, – კი ბატონო, თქვენი უფლებები დაცულია, მათ შორის იურიდიულადაც. ახლა ეს პროცესია და ამ პროცესში საქართველოც ადრე თუ გვიან მივა.

– პოლიტიკურ ნაწილზე რას იტყვით? რასთან გვაქვს საქმე, როდესაც ლევან ვასაძე აკეთებს ამ ტიპის განცხადებას და მას ჰყავს მხარდამჭერები?

– და რამდენია ეს მხარდამჭერი?! რამდენიმე ათასი ადამიანი თუ არის, მერე რა?! ლევან ვასაძე რუსეთის ინტერესების გამტარებელია, როგორც ჩანს, ვალდებულებებითაც. ამასთანავე, სამწუხაროდ, რუსული გავლენები ძალიან ძლიერია საქართველოს საპატრიარქოშიც. საპატრიარქო არის ლევან ვასაძის პარტნიორი ამ აღვირახსნილ ქმედებაში, როდესაც სასულიერო პირები იმუქრებიან, მათ შორის ქორეპისკოპოსი იაკობი.

მე არ ვსაუბრობ „მართლმადიდებელ მშობელთა კავშირზე“, მე ვსაუბრობ სასულიერო პირებზე, ეკლესიის წინამძღოლებზე. ძალიან დიდ პატივს ვცემ, განსაკუთრებული მოწიწება და პატივისცემა მაქვს იმ სასულიერო პირების მიმართ, რომლებიც ამ ურთულეს ვითარებაში მკაფიო პოზიციებს გამოხატავენ, ისინი ძლიერები არიან ქრისტიანულ რწმენაში, განსხვავებით ამ საბჭოთა ინსტიტუციისგან, რომელიც ხელისუფლებასთან არის შეზრდილი.

– ვასაძეს რაიმე სახის დასაყრდენი ექნება პოლიტიკური მიმართულებით? ექნება შანსი, რომ ხელისუფლებაში მოვიდეს?

– ხელისუფლებაში ვერ მოვლენ, პოლიტიკის ფრაგმენტად ერთხანს შეიძლება იყვნენ. ამიტომ, ეკლესია უნდა განთავისუფლდეს არა მხოლოდ ხელისუფლებისგან, არამედ პოლიტიკისგანაც. ის პოლიტიკური ჯგუფები, ვინც ეკლესიას ეკეკლუცებიან და მასთან შეზრდილნი არიან, როგორც წესი, ურცხვი პოლიტიკური ჯგუფები არიან და არც მაინცდამაინც გავლენიანები ქვეყანაში.

– ფიქრობთ, რომ ლევან ვასაძე შეიძლება 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ემზადება, შეიძლება ეს არის მისი ჩანაფიქრი, მით უფრო, საარჩევნო ბარიერი დაბალია?

– შეიძლება, შეიძლება არა. თუმცა, ვასაძე რა რაინდია, როდესაც, როგორც კურდღელი, ისე იქცევა. ის არ არის არსებითი. ვასაძის გარეშეც არიან რეტროგრადები და ვასაძესთან ერთად თუ იქნებიან, იქნებიან, მაგრამ დიდ უმცირესობაში.

ლევან ვასაძე — „მე და ბოკერია ორკაციან კამერაში ჩაგვსვით და ნუ შემოიხედავთ ცოტა ხანს“

„თბილისი პრაიდის“ წინააღმდეგ უკანონო დაჯგუფებების შექმნის ინიციატორმა ლევან ვასაძემ დღეს ვიდეომიმართვა გაავრცელა:

– არასოდეს არ შემშინებია მე ჩემი სამშობლოსთვის არანაირი დაპატიმრების, არაფრის, იმეების არ შეგვეშინდა, იმ უსუფაშვილების და ნაკომუნისტართუ დამაპატიმრებთ, ერთი პატივი დამდეთ, რა. იმედია, იმას მაინც მიხვდებით, რომ მე თუ დასაპატიმრებელი ვარ, მაშინ გიგა ბოკერია, მაგალითად, არის დასაპატიმრებელი, ვინც არის იდეოლოგი ამ არეულობის მცდელობისა.

ერთადერთი თხოვნა მექნება, რა, ორკაციან კამერაში ჩაგვსვით და ნუ შემოიხედავთ ცოტა ხანი. მერე მართლა გექნებათ უკვე ჩემი დაკავების ლეგალური მიზეზები. ამას ვამბობ ყოველგვარი იუმორის გარეშე, საერთოდ, მე პირად შეურაცხყოფებებზე არ გადავდივარ, მაგრამ აქ საქმე ეხება ჩვენი ქვეყნის უსაფრთხოებას, ჩვენი ქვეყნის რეპუტაციას კავკასიის რეგიონში. – განაცხადა ლევან ვასაძემ.

გია ბარამიძე: „პროპორციულ სისტემაზე გადასასვლელად ქუჩის აქციებსაც გამოვიყენებთ“

„ივანიშვილი ხვდება, რომ მისი პოლიტიკური მზე ჩაესვენა და შესაძლოა ვადამდელი არჩევნები დანიშნოს“

იაგო ნაცვლიშვილი

ოპოზიცია 2020-ის საპარლამენტო არჩევნებისთვის პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლას ითხოვს. ამ იდეის გარშემო 20 ოპოზიციური პარტია მუშაობას აგრძელებს.

რა ეტაპზე ამ საკითხზე მუშაობა, განიხილავენ თუ არა საპროტესტო აქციების გზასაც და მზად არიან თუ არა ბიძინა ივანიშვილის შესაძლო სცენარისთვის, რათა მათი მუშაობა წყალში არ ჩაიყაროს? – ამ საკითხებზე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გია ბარამიძე საუბრობს.

– რამდენიმე თვის წინ საარჩევნო სისტემის შეცვლის იდეით გაერთიანდით 20 პარტია, გრძელდება თუ არა მუშაობა, სადამდეა მისული პროცესი და როგორ წარმოგიდგენიათ, რომ ამ საკითხზე მმართველი გუნდი კომპრომისზე წამოიყვანოთ?

– თანამშრომლობა გრძელდება. ჩვენი საქმიანობის პირველი ფაზა დამთავრდა. უკვე შევაგროვეთ ხელმოწერების საკმარისზე მეტი რაოდენობა, რომელიც გადაეცა საქართველოს პარლამენტს, რათა შესაბამისი წესით ინიცირებული იყოს საპარლამენტო განხილვა. დაიწყოს ცვლილებაზე მუშაობა, რათა კონსტიტუციაში იყოს ასახული. რა თქმა უნდა, მაინც გრძელდება ხელმოწერების შეგროვების პროცესი, იმის მიუხედავად, რომ იურიდიულად და ფორმალურად ხელმოწერები საკმარისზე მეტია სამართლებრივი პროცესის დაწყებისთვის.

გადავედით მეორე ფაზაზე, რაც მოიცავს ერთობლივ შეხვედრებს საზოგადოებასთან და ასევე საერთაშორისო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებსაც ვხვდებით ერთიან ფორმატში.

ამის შემდეგ დაიწყება განხილვა პარლამენტში, ამის ვალდებულება აქვს კანონის შესაბამისად და მას ვერ გაექცევიან. აქაც ვაპირებთ, რომ ოპოზიციურმა პარტიებმა კოორდინირებულად ვიმუშაოთ.

ეს არის ის თემა, რასთან დაკავშირებითაც გაერთიანდა სრულიად სხვადასხვა პოლიტიკური შეხედულების, ხედვისა თუ წარსულის მქონე პოლიტიკური ორგანიზაცია. პრაქტიკულად ყველა ოპოზიციური ძალა, რომელიც არის მეტნაკლები რეიტინგის მქონე, ყველა ერთ პოზიციაზეა, გარდა „ქართული ოცნებისა“ და მისი სატელიტი პატრიოტთა ალიანსისა. თუმცა, თუ ამ შეთავაზებას პატრიოტთა ალიანსიც დათანხმდება, კარი ღიაა. პროცესი ღიაა და მასზე ექსკლუზიური უფლება არავის ეკუთვნის.

ჩვენ ვლაპარაკობთ იმაზე, რომ არჩევნები ჩატარდეს სამართლიანი წესებით და ხალხის ნება როგორც არის გამოხატული პროპორციული წესით, შესაბამისი პროპორციით იყოს ასახული საქართველოს პარლამენტში.

– ანუ არ მოხდეს უმრავლესობის დაკომპლექტება მაჟორიტარების ხარჯზე, რომლის არჩევის წესთანაც კითხვები ისმის ხოლმე?

– დიახ, აქეთკენ მივდივარ ზუსტად. მოგეხსენებათ, „ქართულმა ოცნებამ“ მიიღო 40%-მდე ხმები პროპორციული წესით, მაგრამ მაჟორიტარული სისტემის არსებობის გამო გვიკონტროლებს 80%-მდე საპარლამენტო მანდატებს. ეს არის ძალიან დიდი დისპროპორცია და შეუსაბამობა. ამას საუბრობს მთელი ქართული პოლიტიკური სპექტრი უკვე დიდი ხანია. სამწუხაროა, რომ ამ ცვლილების გატარება არ მოხერხდა ნაციონალური მოძრაობის ხელისუფლებაში ყოფნის დროს, თუმცა იყო სურვილი, რომ ასე მომხდარიყო.

„ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის დროსაც იყო ეს დაპირება, რომ ეს აუცილებლად ასე მოხდებოდა, მაგალითად, პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამბობდა, რომ თუ ეს ცვლილება არ იქნებოდა გატარებული, მაშინ ის საერთოდ თანამდებობას დატოვებდა. ამას ჰპირდებოდნენ ვენეციის კომისიას, რომელიც საკონსტიტუციო საკითხებზე რეკომენდაციებს იძლევა.

საბოლოოდ, ივანიშვილმა ეს გადაიფიქრა და გადაწყვიტა, რომ კიდევ მოიგოს დრო და 2024 წლამდე რამენაირად გაიხანგრძლივოს ძალაუფლება. ეს არის ამ საკითხის მთელი არსი და თანამშრომლობა გრძელდება და ყველა ორგანიზაცია, ვინც მუშაობაშია ჩართული, შემდეგ ეტაპებზე კიდევ უფრო მეტი ძალისხმევით იქნება ჩართული.

– ეს საკმარისია იმისათვის, რომ ხელისუფლებას დაათმობინოთ პოზიციები? ხელისუფლებას ეშინია ქუჩის აქციების, ხომ არ ფიქრობთ, რომ საჭირო გახდება ამის პარალელურად საპროტესტო აქციებიც გამართოთ და თუ ხართ ამ თემაზე ერთიან პოზიციაზე ოპოზიციური სპექტრი?

– რა თქმა უნდა. მე პირადად ვფიქრობ, რომ ეს აუცილებელია. ნაციონალურ მოძრაობაში სწორედ ასეთი დამოკიდებულება და პოზიცია გვაქვს. გაერთიანებული ოპოზიციაც ძირითადად ამისკენ იხრება. სხვა ოპოზიციური პარტიებიც იზიარებენ ამ მოსაზრებას და ვფიქრობ, რომ საბოლოო ჯამში, შევჯერდებით ამაზე.

ვიმეორებ, იმის მიუხედავად, რომ სრულიად განსხვავებული ორიენტაციისა თუ ხედვის, პოლიტიკური გემოვნებისა და თუ წარსულის პარტიები ვართ შეკრებილი, ეს კომპონენტიც – ბრძოლის კონსტიტუციური და მშვიდობიანი გზაც იქნება გამოყენებული, რათა ხელისუფლება ვაიძულოთ, რომ ხალხის ნება იყოს გამოხატული და ამის მიხედვით იყოს პარლამენტი შეკრებილი და არა – საარჩევნო ხარვეზებიდან გამომდინარე ჩამოყალიბებული პარლამენტი, რაც თავისთავად პრობლემაა.

ვფიქრობ, რომ საზოგადოების აბსოლუტური უმრავლესობა მიიღებს ამ პროცესებში მონაწილეობას.

– თუ განიხილავთ იმ სცენარსაც, რომ როდესაც ეს პროცესი წავა ბოლოსკენ, ზუსტად მაშინ დანიშნოს ივანიშვილმა და მისმა გუნდმა ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და შრომა წყალში ჩაგიყაროთ. თუ ემზადებით ამ სცენარისთვის და თუ გაქვთ შემხვედრი ნაბიჯები?

– ივანიშვილი ხედავს, რომ მისი პოლიტიკური მზე პრაქტიკულად ჩაესვენა. მან საზოგადოებაში მოპოვებული ნდობა და პოლიტიკური რეიტინგი, რომელიც მისი ტყუილების ხარჯზე იყო მოპოვებული, უკვე დაკარგა. პრაქტიკულად უკვე განადგურებულია ეს რეიტინგი და ნულისკენ ეშვება. აქედან გამომდინარე სწორი იქნება თუ იფიქრებს, რომ ამ წელს კიდევ რაღაცა ხმების მოპოვების შანსი აქვს, ხოლო მომდევნო წელს დიდია ალბათობა, რომ საერთოდ ვერაფერი ვეღარ მიიღოს, ამიტომ შესაძლოა ეს ნაბიჯიც გადადგას და დანიშნოს ვადამდელი არჩევნები. ჩვენ ვადამდელი არჩევნების საწინააღმდეგო არაფერი გვაქვს, ოღონდ პირველ რიგში საარჩევნო კანონმდებლობის შეცვლას ვითხოვთ.

– ვგულისხმობ სწორედ იმას, რომ მან ვადამდელი არჩევნები დანიშნოს არსებული საარჩევნო სისტემით. ამაზე რა პასუხი გაქვთ?

– ჩვენი დღის წესრიგი არის ჯერ საარჩევნო სისტემის შეცვლა, გადასვლა პროპორციულ სისტემაზე და მხოლოდ ამის შემდეგ არის ვადამდელი არჩევნები. თუ ივანიშვილი აქამდე გააკეთებს ამას, ამ შემთხვევაში ჩვენ ამ სცენარისთვისაც მზად უნდა ვიყოთ. ამ შემთხვევაში კონსტიტუციური ბერკეტები ხელში აქვს ჩაგდებული ივანიშვილს და ვერ გავაკეთებთ ისე, რომ რადგან არჩევნები დაინიშნა და არ არის შეცვლილი საარჩევნო სისტემა, ამიტომ მასში მონაწილეობა აღარ მივიღოთ და ფარ-ხმალი დავყაროთ.

არ არის გამორიცხული საყოველთაო ბოიკოტის განხილვაც. მე ამას არ გამოვრიცხავ მოვლენების ასე განვითარების პირობებში, მაგრამ მე ვფიქრობ, რომ თუ შესაბამისი კოორდინაცია და მობილიზაცია მოხდა, თუ მოხდა იმის გაცნობიერება, რომ ძალა ერთობაშია და ჩამოყალიბდა ფორმულა ყველა მინუს 1, რაზეც დიდი ხანია ვმუშაობთ, მაშინ ამ საარჩევნო სისტემაშიც არ უნდა იყოს ხელისუფლების დამარცხების პრობლემა.

იმიტომ, რომ თუ ჩვენ, ოპოზიცია, შევძლებთ პოზიციების შეჯერებას და მთელს ოპოზიციას საერთო კანდიდატები გვეყოლება ყველა საარჩევნო ოლქში, მაშინ ხელისუფლება ამ უპირატესობას ძალიან ძნელად გამოიყენებს თავის სასარგებლოდ.

– მუშაობთ ამაზეც, რომ საერთო კანდიდატები დაასახელოთ?

– ამ წუთას ეს მუშაობა დაწყებული არ არის, მაგრამ გვისაუბრია ამაზე, რომ ჩვენ დავიცვათ თავი ივანიშვილის ამ ხრიკისგან. ეს არის პრინციპული იდეა და თანხმობა არის. კარგი იქნება, რომ ჩვენ ეს შევძლოთ. თუმცა, ამაზე შეთანხმებული და შეჯერებული პოზიცია ჯერ არ არის და ამაზე მუშაობა დაიწყება მოგვიანებით, თუ დავდგებით ამ მოცემულობის წინაშე.

„ოცნებამ“ ქართველების მკვლელ გავრილოვს სახელმწიფო დაცვა დაუნიშნა

შორენა მარსაგიშვილი

საქართველოს ხელისუფლება რომ მომსახურების ზონიდან გასულია და სინდისი ჩამორეცხილი აქვს, ამაში დეპუტატმა ზაქარია ქუცნაშვილმაც დაგვარწმუნა. ქართველმა კანონმდებელმა ქაჯობა უწოდა იმ პროტესტს, რაც საქართველოში ქართველების მკვლელი რუსი დეპუტატის სერგეი გავრილოვის ჩამოსვლას მოჰყვა.

„ახალი თაობა“ უკვე წერდა, რომ რუსი დეპუტატი აქტიურ მონაწილეობას იღებდა აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში და ქართულ სახელმწიფოს იარაღით ებრძოდა.

ამის გარდა ის მიიჩნევს, რომ აფხაზეთი და ცხინვალი დამოუკიდებელი ქვეყნებია და ისინი საქართველოს შემადგენლობაში არ დაბრუნდებიან.

საქართველოს ნორმალური ხელისუფლება რომ ჰყოლოდა, ამ ადამიანზე ძებნა უნდა გამოეცხადებინა. „ოცნებამ“ კი ის თბილისში ასამბლეაში მონაწილეობის მისაღებად დაპატიჟა.

ის უნამოსოც ჩამოვიდა და თავს ისე გრძნობდა, თითქოს მის მშობლიურ ტულაში დატანტალებდა. ან რატომ არ გაილაღებდა, საქართველოს ხელისუფლებამ მას სახელმწიფო დაცვა მიმაგრა.

მისმა და ამ ასამბლეის მასპინძელმა ზაქარია ქუცნაშვილმა კი იმ ქართველებს სულ ქაჯები გვეძახა, ვისთვისაც ქართველების სისხლში ამოთხვრილი გავრილოვის საქართველოში ჩამოხისფეხება მიუღებელია.

– ჩვენ ვემიჯნებით ზოგადად გავრილოვისა და რუსული დიპლომატიის პოზიციას. მოგეხსენებათ, ჩვენ რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობა გაწყვეტილი გვაქვს, მაგრამ ეს არის საერთაშორისო ღონისძიება მართლმადიდებელი ქვეყნების საპარლამენტო ასამბლეის სახით, ამიტომაც ერთმანეთთან არათანაზომადია ?გავრილოვის მონაწილეობით იმ მნიშვნელოვანი მოვლენის გადაფარვა, რაც თბილისში ხდება. ჩვენ მხოლოდ საერთაშორისო დიპლომატიის ინსტრუმენტები გვაქვს იმისთვის, რომ დავიცვათ ჩვენი ეროვნული ინტერესები, ამიტომ ის, ვინც ამ ინსტრუმენტების გამოყენების წინააღმდეგია, უნებლიედ არის საქართველოს მთლიანობის, საქართველოს გამთლიანებისთვის ბრძოლის მოწინააღმდეგე, – აღნიშნა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, მხოლოდ ემოციური განცხადებებით ეს საქმე ვერ გაკეთდება.

– საქართველოს, სამწუხაროდ, არ აქვს იმხელა ეკონომიკური და სამხედრო სიძლიერე, რომ ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინოს. ჩვენ ხელში მხოლოდ ორი ინსტრუმენტია საერთაშორისო დიპლომატიისა და საპარლამენტო დიპლომატიის სახით. ვინც ამ ტრიბუნაზე უარს ამბობს, საქართველოს მთლიანობაზე ამბობს უარს, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

მისი თქმით, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ ქვეყნის დელეგაციის შემადგენლობა და ღონისძიება.

– ვინც მართლმადიდებლობის საპარლამენტო ასამბლეის წინააღმდეგია, ის უნებლიეთ ჩართულია იმ დოგმატურ ჩარჩოებში, რასაც „ნაციონალური მოძრაობა“ ქადაგებს, – აღნიშნა დეპუტატმა.

კითხვაზე, საქართველოს ხელისუფლებისთვის არის თუ არა სერგეი გავრილოვის აქ ყოფნა მორალური უხერხულობა და რა უნდა გაკეთებულიყო, რომ არ მომხდარიყო ეს უხერხულობა, ზაქარია ქუცნაშვილმა აღნიშნა, რომ ვისაც დიპლომატია ესმის, იცის, რომ დელეგაციის შემადგენლობას ის ქვეყანა განსაზღვრავს, რომელიც დელეგაციას გზავნის და არა გენერალური სამდივნო ან მასპინძელი ქვეყანა.

– მე ვუწოდე ამას დიპლომატიური ქაჯობა, რადგან ამ მნიშვნელოვანი გენერალური ასამბლეის წევრია ქვეყანა და არა გავრილოვი. აქედან გამომდინარე, თუ ვინმეს დიპლომატია ესმის, სახელმწიფოები ვის მიავლენენ დელეგაციის შემადგენლობაში, წყვეტენ მათი ადგილობრივი პარლამენტები და არა ათენი, საერთაშორისო გენერალური სამდივნოს სახით ან თბილისი, მასპინძლობის სახით. ვისაც ეს არ ესმის, არის დიპლომატიური ქაჯი. რაც შეეხება იმას, არის თუ არა გოსდუმაში ვინმე დეპუტატი, ვისაც ხმა არ აქვს მიცემული ცხინვალის, სამაჩაბლოს რეგიონისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობისთვის, ასეთი დეპუტატი არ არსებობს. მაგ ლოგიკით საქართველოში შემოსაშვები არავინ არის. მოვეშვათ ამ ქაჯობას, დავიცვათ ეროვნული ინტერესები და გამოვიყენოთ საერთაშორისო ფორუმები, – განაცხადა ზაქარია ქუცნაშვილმა.

ქართველი ჟურნალისტების კითხვებზე პასუხების გაცემა ბოევიკ გავრილოვსაც მოუწია. კითხვაზე, განიცდის თუ არა დისკომფორტს საქართველოში ყოფნით, უპასუხა, რომ საქართველო მისი სამშობლოცაა და აქ ყოფნით ძალიან კმაყოფილია.

– დისკომფორტი არ მაქვს, საქართველო ჩემი სამშობლოა, – აღნიშნა გავრილოვმა.

რუსთავი 2-თან საუბარში გავრილოვმა კატეგორიულად უარყო, რომ აფხაზეთში მიმდინარე საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. აცხადებს, რომ დროა, საქართველოსა და რუსეთს შორის ურთიერთობა ახალ ეტაპზე გადავიდეს.

გავრილოვმა რუსთავი 2-თან საუბარში საქართველოში ჩამოსვლის მიზანზე ისაუბრა. მისი თქმით, რუსული მხარე შეეცდება იპოვოს დიალოგის შესაძლებლობა.

დეპუტატის განცხადებით, რუსეთსა და საქართველოს შორის ბევრი მნიშვნელოვანი საკითხია, რომელიც თანამშრომლობას საჭიროებს. დუმის წევრი ამბობს, რომ მთავარი სარწმუნოებაა, რომელიც ქართველი და რუსი ერისთვის მთავარი ფასეულობაა. რუსი დეპუტატი ფიქრობს, რომ დიალოგის აღარაფერი აფერხებს, ის ხელისუფლება, რომელიც რუსეთ-საქართველოს შორის უსიამოვნების „ინიციატორია“, საქართველოში აღარ იმყოფება.

რუსი დეპუტატის განცხადებით, ის ტერიტორიულ საკითხებზე ვერ ისაუბრებს, მისი თქმით, იყო გარკვეული უთანხმოება, მაგრამ პრობლემის გადალახვა შესაძლებელია.

– საქართველოს პარლამენტმა მომიწვია, ორი წლის განმავლობაში წყდებოდა ამ ასამბლეის თბილისში ჩატარების საკითხი. მიგვაჩნია, რომ საქართველო კარგად მოემზადა, ჩვენი მიზანია შევეცადოთ, ვიპოვოთ შესაძლებლობები დიალოგისთვის. მთავარი საკითხები უკავშირდება ჰუმანიტარული, ეკონომიკურ თანამშრომლობას, კულტურასა და განათლებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ბოლო ერთ წელიწადში გაიზარდა სავაჭრო ბრუნვაც ტურისტების რიცხვიც, მაგრამ ჰუმანიტარულ თანამშრომლობაში ჩამოვრჩებით. ამ სახის თანამშრომლობის საფუძვლები მართლმადიდებლობა და მართლმადიდებლური ფასეულობებია. ეს დაგვეხმარება შევქმნათ ახალი მოდელი ჩვენს ხალხებსა და პარლამენტებს შორის ურთიერთობებისთვის.

რაც შეეხება ტერიტორიების საკითხს, მე ასამბლეის პრეზიდენტი ვარ და ამ საკითხს ვერ განვიხილავ. იყო ჩვენს ხალხებს შორის ბევრი უსიამოვნება, მაგრამ მიმაჩნია, რომ პრობლემების გადალახვა შესაძლებელია. ამ უსიამოვნებების ინიციატორები დღეს საქართველოში არ იმყოფებიან. უნდა ვაწარმოოთ თანაბარი დიალოგი, ვეძებოთ გზები მწვავე საკითხების პოზიტიურად გადასაწყვეტად და ვფიქრობ, რომ თანაბარი დიალოგით და ნდობით შევძლებთ ჩავაცხროთ ის საკითხები, რაც წარსულში ერთმანეთისგან გვყოფდა.

სხვა გზა არ არსებობს. 2008 წლის ომი არის ისტორია, რომლიდანაც გაკვეთილები უნდა ვისწავლოთ. რაც შეეხება აფხაზეთის ომში ჩემს მონაწილეობას, წაიკითხე ეს ინფორმაცია, მაგრამ სიცრუეა. ცხოვრებაში არასოდეს მიმიღია მონაწილეობა საომარ მოქმედებებში. მრავალრიცხოვანი დაცვა უზრუნველყოფილია ქართული მხარის მიერ, რადგან მე ვარ ასამბლეის პრეზიდენტი, თუ ჩამოვდივარ კერძო პირის სტატუსით, დაცვით არასოდეს ვსარგებლობ, – აცხადებს გავრილოვი.

არადა ცოტა ხნის წინ რუსი დეპუტატი თავად საუბრობდა იმაზე, რომ აფხაზეთში საომარ მოქმედებებში მონაწილეობდა. ახლა, ეტყობა, ამის აფიშირება აღარ აწყობს.

❖ ❖ ❖

საქართველოს ხელისუფლებისგან განსხვავებით, რუსი დეპუტატის მიმართ ღიად დააფიქსირა პოზიცია საქართველოში უკრაინის ელჩმა. ასამბლეაში უკრაინელებიც მონაწილეობდნენ.

როგორც კი „ოცნების“ ნებიერა გავრილოვი მიკროფონთან მივიდა, უკრაინელმა დესპანმა ღონისძიება პროტესტის ნიშნად დატოვა.

რუსეთმა და ჩინეთმა სხვა სახელმწიფოებთან ერთად ანტიამერიკული პლატფორმა ჩამოაყალიბეს

საქართველოს ისევ ევრაზიულ კავშირში ექაჩებიან

მარიამ მჭედლიშვილი

შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციამ ბიშკეკში ამ დღეებში გამართულ სამიტზე ახალი ანტიამერიკული პლატფორმა ჩამოაყალიბა. საქართველოს, ერთი შეხედვით, ამასთან კავშირი არ უნდა ჰქონდეს. საქართველო შანხაის თანამშრომლობის ორგანიზაციის სიახლოვესაც არ მოიაზრება, თუმცა არსებობს სხვა გარემოებები. ნებისმიერი ნაბიჯი, რომელსაც რუსეთი და ჩინეთი დგამენ, მით უმეტეს, აშშ-ის წინააღმდეგ, მოქმედებს საქართველოზე.

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის, მაიკ პომპეოს მიერ საქართველოში რუსეთისა და ჩინეთის ერთობლივი ინტერესების ხსენების შემდეგ აღარავის აეჭვებს, რომ მოსკოვი და პეკინი საქართველოშიც ერთად მოქმედებენ. მათ ჰყავთ ლობისტები საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებში. საყურადღებოა ისიც, რომ რუსეთი ისევ ექაჩება საქართველოს ევრაზიულ კავშირში.

რუსეთმა, ჩინეთმა, ინდოეთმა, პაკისტანმა, ასევე ცენტრალური აზიის სახელმწიფოებმა, რომლებიც შანხაის ორგანიზაციაში შედიან, ასევე დამკვირვებლებმა – ირანმა, ბელარუსმა, მონღოლეთმა და ავღანეთმა, შექმნილ სიტუაციაში შეცვალეს სამიტის დღის წესრიგი და ეკონომიკის საკითხები უსაფრთხოების საკითხებით, ასევე აშშ-ის მიმართ დამოკიდებულებით ჩაანაცვლეს.

ბიშკეკის დეკლარაციაში საუბარია გლობალურ უსაფრთხოებაზე. შანხაის ორგანიზაციის წევრები სირიისა და ავღანეთის პრობლემებსაც შეეხნენ, მაგრამ მათ ნაკლები დრო დაეთმო.

ბიშკეკში ევრაზიის ქვეყნების ლიდერები მსჯელობდნენ სავაჭრო ომზე აშშ-სა და ჩინეთს შორის, ირანის ბირთვული პროგრამის გარშემო არსებულ სიტუაციასა და დასავლეთის სანქციებზე რუსეთის წინააღმდეგ.

შეკრებილებმა მკვეთრი ანტიამერიკული შეფასებებისაგან თავი შეიკავეს, თუმცა სამიტის მხრიდან რუსეთის, ჩინეთისა და ირანისადმი სოლიდარობა აშკარა იყო. ამით საფუძველი ჩაეყარა ანტიამერიკულ გაერთიანებას.

ბიშკეკის დეკლარაციის თანახმად, ორგანიზაციის წევრი სახელმწიფოები შესაძლებლად თვლიან რეგიონის ქვეყნების პოტენციალის გამოყენებას ევრაზიაში თანამშრომლობის სივრცის შესაქმნელად. სივრცის მიზანია საიმედო უსაფრთხოებისა და მდგრადი განვითარების უზრუნველყოფა.

ორგანიზაციის წევრი და დამკვირვებელი ქვეყნების მეთაურების საბჭოს მორიგი სხდომა 2020 წელს ჩელიაბინსკში გაიმართება.

რუსეთი საქართველოს ევრაზიული სივრცის ნაწილად მიიჩნევს. ამიტომ, არ იქნება გასაკვირი, თუ შანხაის ორგანიზაცია საქართველოს საქმეებშიც ჩაერევა. საქართველოზე ზეწოლას, სპეცოპერაციებს, პროვოკაციებს მის ოკუპირებულ რეგიონებში და მის ფარგლებს გარეთ, ნატოს საწინააღმდეგო გამოსვლების ორგანიზებას კრემლი ამ ორგანიზაციის გარეშეც ახერხებს.

ნატოს წევრი თურქეთი შანხაის ორგანიზაციაში არ შედის, თუმცა რუსეთის შეიარაღებაზე უარს არ ამბობს. დაპირებული რუსული S-400-ს ანკარას მალე გადაეცემა.

რუსულ შეიარაღებაზე რუსეთისთვის არასახარბიელო დასკვნას აქვეყნებენ ჰონკონგის ექსპერტები. მათი შეფასებით, რუსეთს ამ დარგში ბევრად უსწრებენ აშშ და ჩინეთი. რუსეთის თავდაცვის მრეწველობა ამჟამად შეესაბამება ჩინეთისას 20 წლის წინ. სპეციალისტები ასკვნიან, რომ რუსეთის მხოლოდ რეგიონული „დერჟავაა“, რომელსაც თავისუფლად შეუძლია პრობლემების შექმნა თავისი მეზობელი ქვეყნებისათვის. 2014 წელს ყირიმის მიტაცების შემდეგ რუსეთის მხრიდან ანექსიის შიში აქვთ ესტონეთს, ლატვიასა და ლიტვას.

რუსეთის აგრესიის შემცირებას დასავლეთში მისი ეკონომიკის დასუსტების შემთხვევაში ელოდებიან. ბრიტანელი მეცნიერების დასკვნით, პროგნოზები რუსეთის ეკონომიკის ჩამოშლის შესახებ ჯერ არ გამართლდა. რუსეთში გამეფებულ კორუფციას, არაეფექტიან ეკონომიკას, ენერგომატარებლებზე დამოკიდებულებას, მოსახლეობის დაბერებას და სანქციებს რუსეთის ეკონომიკა უნდა დაენგრია, მაგრამ ეს არ მოხდა.

სპეციალისტების თქმით, ჩამოშლის მაგივრად რუსეთის ეკონომიკა დასტაბილურდა. ის უფრო ნაკლებადაა დამოკიდებული ენერგომატარებლებზე, დოლარის კურსი მცირედით აისახება ფასებზე, მდიდარი რუსების ნაწილი კი თავის თანხებს რუსეთში აბანდებს.

უახლოეს წლებში რუსეთის ეკონომიკას უფრო სტაგნაცია ემუქრება, ვიდრე კოლაფსი.

გიორგი ლაღიძე: „პრაიდის თემა ხელოვნურადაა აგორებული“

გულიკო ბალაძე

პარტია „მომავალი საქართველოს“ ლიდერი გიორგი ლაღიძე „ახალ თაობასთან“ აცხადებს, რომ არ არის გამორიცხული, ე.წ. პრაიდის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც უცხო ქვეყნიდან იმართებოდნენ.

„მათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არავინ უზღუდავს. ეს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებულია. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეიკრიბონ დახურულ სივრცეში. მათი გამომწვევი და გამაღიზიანებელი ქცევა (შეიძლება პროვოკაციულიც), ჩვენი საზოგადოების მხრიდან პირდაპირ გამოწვევად აღიქმება“

– ბატონო გიორგი, როგორ აფასებთ ე.წ. პრაიდის მოწყობის მომხრეებისა და მოწინააღმდეგეების დაპირისპირებას?

– ყველამ კარგად ვიცით, რომ გამოხატვის, სიტყვისა და აღმსარებლობის თავისუფლება საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულია. შესაბამისად, ლგბტ თემის წარმომადგენლებს გამოხატვის უფლება აქვთ. თუმცა, მათი ქმედება მიუღებელია.

– რატომ არის მიუღებელი?

– ლგბტ თემის წარმომადგენლები აშკარად გამომწვევად იქცევიან. საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის, როგორც ტრადიციული მართლმადიდებლებისთვის, ყოვლად მიუღებელია მამათმავლობა და ის თემები, რასაც ლგბტ თემის წარმომადგენლები რეკლამირებას უკეთებენ.

ლგბტ თემის გამოხატვის თავისუფლება, ფაქტობრივად, მართლმადიდებლების უფლებებს ლახავს. მათ განაცხადეს, რომ უნდა ჩატარდეს 1 კვირიანი პრაიდი. ამან სამართლიანად გააღიზიანა საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი უმრავლესობა.

– თქვენ შედიხართ მაგ უმრავლესობაში?

– დიახ, ერთ-ერთი მათგანი მეც გახლავართ. ძალიან არ მომწონს ის, რასაც ამ თემის წარმომადგენლები აცხადებენ.

– კერძოდ, რა არ მოგწონთ, ვთქვათ, რით აღიზიანებს ეს თემი საზოგადოებას?

– რა აუცილებელია პრაიდის ან პარადის ჩატარება საქართველოს დედაქალაქში და მის ცენტრალურ გამზირზე? თუ ვინმეს შეკრება უნდა, მათ შორის, სექსუალური უმცირესობის წარმომადგენლებს, შეიკრიბონ სადმე დახურულ სივრცეში. ამით საზოგადოებას არ გააღიზიანებენ.

ცალსახაა, რომ მათი ანონსი პრაიდის ჩატარებისა და დემონსტრაციების მოწყობის შესახებ, ჩვენი მოსახლეობის დიდ ნაწილს გააღიზიანებდა.

– ისინი ამბობენ, ჩვენ სიტყვისა და შეკრების თავისუფლებას გვიზღუდავენო.

– მათ სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებას არავინ უზღუდავს. ეს საქართველოს კონსტიტუციითა და კანონმდებლობით გარანტირებულია. მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს შეიკრიბონ დახურულ სივრცეში. მათი გამომწვევი და გამაღიზიანებელი ქცევა (შეიძლება პროვოკაციულიც), ჩვენი საზოგადოების მხრიდან პირდაპირ გამოწვევად აღიქმება.

– იმ ძალაზე რას იტყვით, ვინც ე.წ. პრაიდის გამართვას დაუპირისპირდა?

– მათაც შევაფასებ, ვინც პრაიდის მოწინააღმდეგეთა რიგებში აღმოჩნდა. ვიზიარებ მოსახლეობის უდიდესი ნაწილის ძალისხმევას, ვინც იქ მართლა გულწრფელად იყო მისული და ამბობდა, რომ პრაიდი არ უნდა ჩატარდეს. ვგულისხმობ უბრალო მოქალაქეებს. მე მათდამი სოლიდარული ვარ, მაგრამ საკითხავია, რამდენად გულწრფელი გრძნობები ამოძრავებდათ ამ შემთხვევაში ორგანიზატორებს, ეს ცალკე თემაა.

– ფიქრობთ, რომ კონტრაქციის ორგანიზატორებს გულწრფელი გრძნობები არ ამოძრავებდათ?

– ვფიქრობ, ლგბტ პრაიდის თემა ხელოვნურადაა აგორებული ე.წ. პრაიდის მხარდამჭერების მხრიდანაც და მოწინააღმდეგეების თავკაცების მხრიდანაც.

– მოწინააღმდეგეთა შეკრების ორგანიზატორი იყო ბიზნესმენი ლევან ვასაძე. მისი განცხადებები მიუღებელი აღმოჩნდა. მისი გამონათქვამები კონსტიტუციის დარღვევად მიიჩნიეს. ვასაძე იმუქრება, კომბლების რევოლუციას მოაწყობს თუ პრაიდი ჩატარდება. თქვენ ამ განცხადებებს როგორ აფასებთ?

– ვფიქრობ, ეს არის ჭიქაში ქარიშხლის წარმოქმნის მცდელობა.

– ვისი მხრიდან?

– მათ შორის, ამ პრაიდის მოწინააღმდეგეთა მხრიდანაც. შესაბამისად, მიმაჩნია, რომ ამ პრაიდის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც იმართებიან ქვეყნის გარედან, გარე ძალების მხრიდან.

არც ის არ არის გამორიცხული, მათ ერთი დირიჟორი ჰყავდეთ და ჩრდილოეთიდან იმართებოდნენ. დღეს საქართველოში ვის აწყობს არეულობა? ვის აწყობს დასუსტებული სახელმწიფო? ვის უნდა, ჩვენი სუვერენიტეტი კიდევ უფრო დასუსტდეს და საერთაშორისო იმიჯი შეგველახოს.

– ვის აწყობს?

– ერთადერთ სახელმწიფოს, რუსეთის იმპერიას, რომელსაც საქართველოს ტერიტორიის 20% ოკუპირებული აქვს. ამ შემთხვევაში პრაიდის მომხრეებიც და მოწინააღმდეგეებიც, ნებსით თუ უნებლიეთ, რუსეთის თამაშს თამაშობენ, საზოგადოებაში ვნებათაღელვას იწვევენ. ვასაძის ქმედება ამ შემთხვევაში პირადად ჩემი მხრიდან რუსეთის თამაშად აღიქმება.

– მაინც რატომ?

– დაანონსება იმისა, რომ შეიქმნება რაზმები, ქუჩაში გარკვეული პატრულირება დაიწყება (მერე პოზიციები შეიცვალა ამასთან დაკავშირებით). ასევე საზოგადოებაში ვნებათაღელვის გამოწვევა, ვფიქრობ, ეს ყველაფერი გარე ძალების ინტერესის სფეროშია, ვისაც საქართველოში მშვიდობა არ აწყობთ. დღეს საქართველოში კონკრეტული პირები გარე ძალების დაკვეთას ასრულებენ. ეს არის ძალიან პროვოკაციული თემა, რომელსაც, ჩვენდა სამწუხაროდ, საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი წამოეგო.

სრულიად მიუღებელია ყოველგვარი ლგბტ პრაიდებისა და დემონსტრაციების ჩატარება (თუ შეკრება უნდათ, შეიკრიბონ დახურულ სივრცეში), რაც პირდაპირ ლახავს მართლმადიდებელი ქრისტიანების უფლებებს, მით უმეტეს, როდესაც ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა მართლმადიდებელი ქრისტიანია და მათ უფლებებზე არავინ ზრუნავს.

მიუხედავად იმისა, მე ამ პრაიდის მოწინააღმდეგეთა რიგებში ვარ და მომავალშიც ვიქნები, კატეგორიული მოწინააღმდეგე ვარ იმგვარი ქმედებების, როგორც მოქმედებს და საზოგადოებას მოძღვრავს ვასაძე.

– მოგეხსენებათ, შს სამინისტრომ დაიწყო გამოძიება და პრაიდის მოწინააღმდეგეთა რიგებიდან გარკვეული პირები გამოკითხა. მათი ადვოკატი აცხადებს, რომ ეს უბრალოდ სახალხო მოძრაობაა. ზოგიერთმა ეს პროცესი მხედრიონის შექმნას შეადარა (თქვეს, ასე იქმნებოდა მხედრიონიო). ადვოკატის თქმით, მსგავსი არაფერი ხდება.

– მე იურისტი ვარ და უდანაშაულობის პრეზუმპციას არ დავარღვევ. სამართალდამცავმა ორგანოებმა უნდა შეისწავლონ, იყო თუ არა ვასაძის მხრიდან ძალადობისკენ მოწოდება. თუმცა, მე ყოველგვარ ძალადობას ვემიჯნები. ეს არის მიუღებელი.

ალბათ დააკვირდით, საერთაშორისო ორგანიზაციებს, საერთაშორისო პრესას, ბოლო დღეების განმავლობაში როგორი რეაქცია აქვთ მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით. ის, რაც დღეს საქართველოში ხდება, ცალსახად ჩვენი ქვეყნის მტრის წისქვილზე ასხამს წყალს. საქართველოს მოსახლეობისთვის სასიკეთო ქმედება არ არის.

მათ მიზანმიმართულად გამოვყავართ მოძალადეებად, ამით ჩვენი ქვეყნის სუვერენიტეტი სუსტდება. მათ შორის, ევროპასა და, საერთოდ, დასავლეთში ჩვენი მეგობრების მხარდაჭერა სუსტდება. ყველამ უნდა იცოდეს, რომ ტოლერანტული ერი ვართ. ამ დროს აგორდა ლგბტ თემა. რატომ? ძალიან საეჭვოდ გააქტიურდნენ ის პირები, რომლებიც საქართველოში რუსეთის პოლიტიკის გამტარებლებად მოიაზრებიან.

„ლგბტ თემის წარმომადგენლები აშკარად გამომწვევად იქცევიან. საქართველოს მოსახლეობის ძალიან დიდი ნაწილისთვის, როგორც ტრადიციული მართლმადიდებლებისთვის, ყოვლად მიუღებელია მამათმავლობა და ის თემები, რასაც ლგბტ თემის წარმომადგენლები რეკლამირებას უკეთებენ“

– იგივე საფრანგეთსა და სხვა ქვეყნებშიც შეუშალეს ხელი ლგბტ-ების პრაიდებსა და პარადებს.

– საქართველოში ლგბტ ბინას ვერასოდეს დაიდებს, ჩვენი რელიგიური მრწამსიდან გამომდინარე. ამ საკითხის წამოწევა ხელოვნურად ხდება.

– ხელოვნურობის რა ნიშანს ხედავთ?

– აცხადებენ, რომ ლგბტ-ების თემა, პრაიდის ჩატარების ინიციატივები თითქოს ევროპიდან და ამერიკიდან მოდის. თუთქოს ისინი ემუქრებიან ქართულ საზოგადოებას. ვის ინტერესში შედის ეს? რა თქმა უნდა, რუსეთის. ამიტომ საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ ამ შემთხვევაში ლგბტ პრაიდის მომხრეებიც და ამ აქციის მოწინააღმდეგეებიც (ვგულისხმობ ორგანიზატორებს) ჩვენ მიმართ მტრულად განწყობილი სახელმწიფოდან იმართებიან. ჩემი შეფასებით, სამწუხაროდ, მათ დავალებას ასრულებენ.

– თქვენ თქვით, რომ გამოწვევაა. რა არის აქ გამოწვევა, ის, რომ პრაიდის ჩატარება უნდათ, თუ ის, რომ ამ პრაიდის დაანონსების გამო საზოგადოება აღელდა?

– ცალსახად ვაცხადებ, საქართველოში არანაირი პრაიდი არ უნდა ჩატარდეს. მათ არც იმდენი მხარდამჭერი ჰყავთ, რომ ამგვარი ღონისძიებები ჩაატარონ. კიდევ ერთხელ ვაცხადებ, თუ მათ შეკრება სურთ, ეს საქართველოს კონსტიტუციით არის გარანტირებული. შეიკრიბონ იმ ფორმით და იმ სივრცეში, სადაც საქართველოს მოსახლეობის უდიდეს ნაწილს არ გააღიზიანებენ. მათი ქმედება არ შელახავს სხვის უფლებას.

თუმცა, ამ პრაიდის მოწინააღმდეგეების ქმედებებშიც აშკარად იკითხება უცხო სახელმწიფოს ხელი, საქართველოს სახელმწიფოსადმი მტრულად განწყობილი ხელი. ფაქტია, რომ ეს არის რუსეთი.

ომბუდსმენი: „საქართველო თავშესაფრის მაძიებლებს უარს დაუსაბუთებლად ეუბნება“

საქართველო ბოლო წლების განმავლობაში ამცირებს თავშესაფრის მაძიებელი პირების განაცხადების დაკმაყოფილებას. თავის მხრივ იკლებს საქართველოში თავშესაფრის მსურველთა რაოდენობაც. ამასთან, უარის მიზეზს ქართული მხარე ძალიან ხშირად არ ასაბუთებს. ამ საკითხებზე სახალხო დამცველი 19 ივნისს შსს-სა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლებს ესაუბრა.

საქართველოში თავშესაფარზე ყველაზე მაღალი მოთხოვნა ბოლო წლების განმავლობაში 2014-2015 წლებში იყო. მხოლოდ 2015 წელს 11.262-მა პირმა ითხოვა საერთაშორისო დაცვა. აქედან 315 პირს ყოველგვარ სტატუსზე უარი უთხრეს. სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია მონიტორინგის შედეგად გამოვლენილ რამდენიმე ხარვეზს გამოყოფს:

უცხო ქვეყნის მოქალაქეებს საქართველოს საზღვარზე არ უშვებენ, რიგ შემთხვევებში კი მიზეზებს არ განუმარტავენ.

ქვეყანაში არსებობს საერთაშორისო დაცვის მქონე პირთა ინტეგრაციის პრობლემა.

საქართველო სამის სახის საერთაშორისო დაცვას სთავაზობს პირებს, ესენია: ლტოლვილის სტატუსი, ჰუმანიტარული სტატუსი, დროებითი დაცვის ქვეშ მყოფი პირის სტატუსი.

ომბუდსმენის მიერ ჩატარებული მონიტორინგის საფუძველზე ირკვევა, რომ ხშირად უარი თავშესაფარზე, არ არის სათანადოდ განმარტებული და უარის მიმღებ პირებს კითხვებს უტოვებს.

– დღეს, მთავარი პრობლემა, რასაც ეს ადამიანები და მათი უფლებადამცველები აყენებენ, არის ის, რომ ხშირად სტატუსის მინიჭებაზე ადამიანებს სახელმწიფო უარს ეუბნება უსაფრთხოების არგუმენტებით, ასევე იგივე არგუმენტი მოქმედებს ბინადრობის ნებართვის გაცემაზე. თუმცა, ამ ადამიანებს არ აქვთ პასუხი რამდენად დასაბუთებულია სახელმწიფო უსაფრთხოების კუთხით ეს უარი, თუ სახელმწიფო უბრალოდ თავიდან იცილებს მათთვის არასასურველ პირებს, – ამბობს ნინო ლომჯარია.

ომბუდსმენის თქმით, უარის საფუძველს ხშირად არ მიუთითებენ იმ პირებსაც, რომლებსაც უარს სასაზღვრო გამშვებ პუნქტებზევე ეუბნებიან. სახალხო დამცველის თქმით, ასეთი ქმედება არ შეესაბამება ადამიანის უფლებების სტანდარტებს.

2018 წლის მონაცემებით, საქართველოში საერთაშორისო დაცვის მქონე 1382 ადამიანი ცხოვრობს. მათი უმრავლესობა ერაყიდან, უკრაინიდან და რუსეთიდანაა.

დღეს მსოფლიოში 78 მილიონი იძულებით გადაადგილებული პირია. აქედან, 25 მილიონი ლტოლვილის სტატუსით სარგებლობს. მსოფლიოში ლტოლვილთა საერთაშორისო დღე 20 ივნისს აღინიშნება.

კომერსანტი

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციის პროცესი რთულდება

მიკროსაფინანსო ორგანიზაციების ლიკვიდაციის პროცესი რთულდება. საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2018 წლის 5 აპრილის 59/04 ბრძანებაში შესული ცვლილებების მიხედვით, მისო-ების ლიკვიდაციის პროცესი ვერ დასრულდება, თუ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეები. აქამდე მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესში ეს ჩანაწერი არ არსებობდა (ცვლილება უკვე ძალაშია).

„მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ლიკვიდაციის წესის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანებით, ლიკვიდაციის პროცესის ხანგრძლივობა განისაზღვრება ლიკვიდაციის პროცესში მყოფი მიკროსაფინანსო ორგანიზაციის ვალდებულებების გასტუმრების ხანგრძლივობით, რომელიც თავის მხრივ დამოკიდებულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქტივების რეალიზაციასა და სასამართლო საქმეების დასრულების ვადებზე. ლიკვიდაციის პროცესი ვერ დასრულდება, თუ არსებობს მიმდინარე სასამართლო საქმეები.

არსებობს გამონაკლისი შემთხვევები, კერძოდ, ეროვნული ბანკის თანხმობით შეიძლება ლიკვიდაციის პროცესში მყოფმა მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეიცვალოს საქმიანობის საგანი და გარდაიქმნას ისეთ მეწარმე-სუბიექტად, რომელიც არ ახორციელებს მიკროსაფინანსო საქმიანობას. ამასთან, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანების მიხედვით, საქმიანობის საგნის შეცვლა უნდა ემსახურებოდეს მიკროსაფინანსო ორგანიზაციის დანარჩენი ვალდებულებების გასტუმრებას, რისთვისაც საჭიროა მიკროსაფინანსო ორგანიზაციის აქციონერთა/პარტნიორთა გადაწყვეტილება და აღნიშნული გადაწყვეტილების შესახებ ყველა დარჩენილი კრედიტორის ნოტარიულად დამოწმებული თანხმობა.

კომერსანტი

ბექა დავითულიანი: „ქალაქის იერსახის დამახინჯება სისხლის სამართლის წესით დასჯადი ხდება“

– თბილისის მერის ინიციატივა ქაოტური განაშენიანების დასრულებისკენ გადადგმული კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯია, – ასე

გამოეხმაურა თბილისის საკრებულოს „ფრაქცია ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ბექა დავითულიანი თბილისის მერის ინიციატივას. მისი თქმით, მთავრობის მიერ შემუშავებული კონცეფციით, სამშენებლო ფართისა და სანებართვო პირობების დამრღვევი კომპანია სისხლის სამართლის წესით დაისჯება. გარდა ამისა, იკრძალება ექსპლუატაციაში მიუღებელი შენობა-ნაგებობებით სარგებლობა.

– მნიშვნელოვანი ინიციატივა წამოაყენა ქალაქის მერმა, რომლის მიხედვით დედაქალაქში ქაოტური განაშენიანება და თბილისის იერსახის დამახინჯება სისხლის სამართლის კოდექსით დაისჯება. კანონი შეეხება ისეთ მძიმე დარღვევებს, როგორიც სამშენებლო ფართის გადამეტება და სანებართვო პირობების დარღვევაა. შემიძლია გითხრათ, რომ კომპანიები ხშირად არღვევდნენ სამშენებლო პირობებს. მაგალითად, 10 სართულის ნაცვლად 12 სართულიან შენობას აშენებდნენ, რისთვისაც განსაზღვრული ჯარიმის გადახდა უღირდათ, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

მისივე თქმით, რეგულაციების გამკაცრების გამო, დედაქალაქის მთავრობა ერთჯერად აქტს მიიღებს და იმ ნაგებობებს, რომელშიც ხალხი ცხოვრობს, მაგრამ წლებია მერიას არ ჩაუბარებია, ექსპლუატაციაში მიიღებს.

– ქალაქში არის დაახლოებით 700 შენობა, რომელიც ექსპლუატაციაში მიღებული არ არის. ჩვენ ეს ობიექტები აღვრიცხეთ. სამწუხაროდ, ბევრი დარღვევა ვეღარ გამოსწორდება, ზოგი სამშენებლო კომპანია, რომელმაც ეს შენობები ააშენა, ბაზარზე აღარც არსებობს. შესაბამისად გადავწყვიტეთ, ის ობიექტები, რომელთაც აქვთ დარღვევები, მაგრამ იქ ადამიანების ცხოვრება სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის საშიში არ არის, ექსპლუატაციაში მივიღოთ, – განაცხადა ბექა დავითულიანმა.

city.kvira.ge

„ხრუშჩოვკების“ მშენებლობით „არქიმ“ სოციალური პასუხისმგებლობა აიღო, რათა კალაძის პრესტიჟი გადაერჩინა“

ვარკეთილში ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების საპილოტე პროექტი იწყება. რამდენიმე კვირის წინ გახდა ცნობილი, რომ ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების პროექტზე გამოცხადებულ ინტერესთა გამოხატვაში „არქი ჯგუფის“ შვილობილმა კომპანიამ „შპს ვარკეთილი დეველოფმენთმა“ გაიმარჯვა.მიუხედავად იმისა, რომ თბილისის მერობის თითქმის ყველა კანდიდატის წინასაარჩევნო დაპირება „ხრუშჩოვნების“ პრობლემის მოგვარება იყო, ამ თემის დაძვრა მხოლოდ კახა კალაძემ შეძლო.

ჯერ კიდევ 2017 დასაწყისში „ქართული ოცნების“ თბილისის მერობის კანდიდატი, კახა კალაძე თბილისელ ამომრჩეველს დაჰპირდება, რომ ე.წ. „ხრუშჩოვკებს“ თანამედროვე კორპუსებით ჩაანაცვლებდა.

წლის ბოლოს უკვე მერმა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა: „მაქსიმალურად ხელს შევუწყობთ ინვესტორებს. მნიშვნელოვანია, თანხვედრა იყოს ინვესტორებსა და იქ მცხოვრებ ადამიანებს შორის. ჩვენი მხრიდან იქნება მხოლოდ და მხოლოდ დახმარება, ხელშეწყობა. ე.წ. ხრუშჩოვკების პროექტის განხორციელება შესაძლებელია. შეთავაზება უნდა იყოს სამი მიმართულებით: ფართების გამოსყიდვა, სხვა კონკრეტულ რაიონში საცხოვრებელი ბინების შეთავაზება ან ხრუშჩოვკების ადგილზე, ახალაშენებულ სახლებში ფართით დაკმაყოფილება“.

ამ სიტყვებიდან რამდენიმე თვეში „ხრუშჩოვკების“ პროექტზე პირველი ინტერესთა გამოხატვა გამოცხადდა, თუმცა წამგებიანი ბიზნესით მშენებელი კომპანიები არ დაინტერესდნენ. რამდენიმე თვეში გამოცხადებულ მეორე ინტერესთა გამოხატვაში კი გამარჯვებულად „შპს ვარკეთილი დეველოფმენთი“, ანუ ფაქტობრივად, არქი ჯგუფი დასახელდა.

საქმეში ჩახედულები ამბობენ, რომ ხრუშჩოვკები კალაძისთვის პრესტიჟის საქმეა, მაგრამ რატომ დაინტერესდა თავად „არქი ჯგუფი“ ვარკეთილის მე-3 მასივში საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობით, რომელიც იმთავითვე შეფასდა წამგებიან პროექტად? იყო თუ არა თანამშრომლობის მიზეზი თბილისის მერის კახი კალაძის და დეველოპერული კომპანია არქის დამფუძნებლის ილია წულაიას მეგობრული და უკვე ნათესაური კავშირები?

დეველოპერულ კომპანიებში ამ თემაზე ღიად საუბარი არ ისურვეს, თუმცა, „კომერსანტთან“ პირად საუბარში მშენებლები ამბობენ, რომ პროექტი სირთულისა და პრობლემატურობის გამო ბიზნესისთვის მართლაც წამგებიანია და ამიტომ არ არის საინტერესო. ამბობენ იმასაც, რომ საცხოვრებელი კომპლექსის მშენებლობა თბილისის სხვა ტერიტორიაზე, სადაც „ხრუშჩოვკებია“, გაცილებით მომგებიანი იქნება, ვიდრე ვარკეთილის მე-3 მასივში.

რაც შეეხება არქის ამ პროექტით დაინტერესებას, სამშენებლო კომპანიები ამას ბიზნესინტერესებზე მეტად კომპანიის და თბილისი მერიის პირადი ურთიერთობით ხსნიან. ერთნი ამბობენ, რომ მერია და არქი მეგობრობენ და სწორედ ამიტომ მისცა კახი კალაძის უწყებამ ამხელა დაკვეთა, უბრალოდ უცნობია, რის სანაცვლოდ. მეორენი კი ფიქრობს, რომ მერია ე.წ. ხრუშჩოვკების ჩანაცვლების საპილოტე პროექტში გაიჭედა და პრესტიჟის შესანარჩუნებლად კალაძემ არქისთან პირადი ურთიერთობა გამოიყენა. ერთი სიტყვით, „ხრუშჩოვკების“ მშენებლობით, არქიმ სოციალური პასუხისმგებლობა აიღო, რათა კალაძის პრესტიჟის გადაერჩინა.

ვიდრე ამ საკითხზე თავად „შპს ვარკეთილი დეველოფმენთის“ პოზიციას გაგაცნობთ, მოკლედ მიმოვიხილავთ იმ მოთხოვნებს, რომლის დაკმაყოფილებაც სამშენებლო კომპანიას მოუწევს.

„ხელშეკრულების“ პირობების მიხედვით, კომპანიამ უძრავი ქონება მუნიციპალიტეტს დასრულებული სახით არაუგვიანეს 3 წლის ვადაში უნდა გადასცეს. უშუალოდ მშენებლობა კი დოკუმენტის გაფორმებიდან 6 თვის ვადაში უნდა დაიწყოს.

ოფიციალურ დოკუმენტში ვკითხულობთ იმასაც, რომ „შპს ვარკეთილი დეველოფმენთს“ 30.205 კვ.მ მიწის ნაკვეთი თბილისის მერიამ სიმბოლურ ფასად, ერთ ლარად გადასცა. მუნიციპალიტეტისათვის გადასაცემი ბინების საერთო ფართის მინიმალური ჯამური ოდენობა კი 7.500 კვ. მ.-ით განისაზღვრა.

„შპს ვარკეთილი დეველოფმენთის“ დირექტორი დიმიტრი ადამია „კომერსანტთან“ საუბარში აცხადებს, რომ კომპანიაში ამ ეტაპზე პროექტზე მუშაობა დაწყებულია, რომელსაც უახლოეს მომავალში თბილისის მერიაში წარადგენენ. მისივე თქმით, სამშენებლო კომპანია პირველ კორპუსს დაახლოებით წელიწადნახევარში დაასრულებენ.

დიმიტრი ადამია ამბობს, რომ პროექტი მასშტაბურია და მასში დაახლოებით 35–40 მლნ ლარის ინვესტიცია ჩაიდება.

– პროექტის მიხედვით ხუთი თორმეტსართულიანი საცხოვრებელი კორპუსი შენდება, ასევე მოეწყობა საბავშვო ბაღი და დიდი სარეკრეაციო ზონა. გეერგეს მიხედვით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტი საკმაოდ დაბალი 2,0 -ია, სწორედ ამის ფარგლებში ვამზადებთ პროექტს, რის შემდეგაც პროექტი შევათანხმეთ თბილისის მერიასთან და მშენებლობის ნებართვას მივიღებთ. საცხოვრებელ კომპლექსში სულ რამდენი ბინა იქნება, მას შემდეგ გახდება ცნობილი, როდესაც პროექტს გავაკეთებთ, – განმარტავს დიმიტრი ადამია.

დიმიტრი ადამია „კომერსანტთან“ საუბარში ასევე აცხადებს, რომ დეველოპერულ კომპანიას სოციალურ პროექტში მონაწილეობის სურვილი თავად ჰქონდა და ამიტომ კომპანიისთვის ავარიულ კორპუსში მცხოვრები, დაახლოებით, 170 ოჯახის ბედი ფინანსურ სარგებელზე მნიშვნელოვანი აღმოჩნდა.პირველ ეტაპზე არავინ გამოხატა ინტერესი, რადგან მოთხოვნებში საკმაოდ მძიმე, მერიისთვის მომგებიანი პირობები დევს. აქედან გამომდინარე, განაცხადი არავინ შეიტანა. მეორე ინტერესთა გამოხატვაში გადავწყვიტეთ ჩავრთულიყავით, რადგან სოციალური პროექტი არის და გვინდოდა მსგავსი პროექტი განგვეხორციელებინა. ჩვენ სხვა პროექტებში ფინანსური მოგება გაცილებით მეტი გვაქვს, ვიდრე ამ პროექტში. ამ მოგების მარჯაზე უარი ვთქვით და გადავწყვიტეთ, განგვეხორციელებინა სოციალური პროექტი. პასუხისმგებლობა, რა თქმა უნდა, დიდია, მაგრამ ჩვენ გვჯერა, რომ ამ პროექტს წარმატებით დავასრულებთ და ის ოჯახები, რომლებიც დღეს ავარიულ კორპუსებში ცხოვრობენ, ახალ ბინებში შესახლდებიან“.

შპს „ვარკეთილი დეველოფმენთის“ დირექტორი იმ მიზეზებზე საუბრობს თუ რატომ ჩავარდა პირველი ინტერესთა გამოხატვა და რატომ არ აღმოჩნდა მიმზიდველი ბიზნესისთვის თბილისის მერიის მიერ შეთავაზებული პირობები.

– მიწის ფასი დამოკიდებული არის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტზე, რადგან ამ შემთხვევაში, კოეფიციენტი არის დაბალი, მიწის მიმზიდველობაც დეველოპერისთვის დაბალია. კიდევ ერთი მიზეზი, რატომაც დეველოპერებმა უარი თქვეს ინტერესთა გამოხატვაში მონაწილეობის მიღებაზე, არის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის წარდგენის პირობები. დეველოპერმა რომ გაყიდოს ფართი, მთლიანი კორპუსის ღირებულების საბანკო გარანტია უნდა წარუდგინოს მერიას. საკმაოდ ტვირთიანი პროექტია რთული მოთხოვნებით, ამიტომ აღვნიშნე, რომ მერიისთვის არის მომგებიანი, რადგან გადაზღვეულია, – განმარტავს დიმიტრი ადამია.

„კომერსანტის“ კითხვაზე „ხრუშჩოვკების“ ჩანაცვლების პროექტით დაინტერესება ხომ არ იყო თბილისის მერიის და სამშენებლო კომპანია „არქის“ მეგობრობით განპირობებული – დიმიტრი ადამია გვპასუხობს:

– ჩვენთვის მნიშვნელოვანი იყო სოციალური პროექტი განგვეხორციელებინა, ამიტომ შევედით პროექტში, სხვა კომენტარს ვერ გავაკეთებ, რას ნიშნავს მეგობრობა, არ ვიცი. ღია ინტერესთა გამოხატვა იყო, რომელიც ერთხელ ჩავარდა. მეორედ მერიის ოფიციალურ საიტზე იყო გამოცხადებული ინტერესთა გამოხატვა და ნებისმიერ დეველოპერს, ვისაც ინტერესი ჰქონდა და ვინც დააკმაყოფილებდა გარკვეულ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, შეეძლო პროექტში მონაწილეობა. 6.987.659 ლარის ღირებულების მიწას ვიღებთ და სანაცვლოდ დაახლოებით 13 მლნ ლარის ბინებს გადავცემთ. რაც შეეხება მიწის ფართს, როდესაც 30.205 კვ.მ მიწის ნაკვეთს გადმოგვცემს მერია, შემდეგ უკან უნდა დავუბრუნოთ ბაღის მიწა, გზებისთვის მიწა, სარეკრეაციო მიწა, დაახლოებით 10.000 კვ.მ. – განაცხადა დიმიტრი ადამიამ.

რა ეღირება ვარკეთილის მე-3 მასივში საცხოვრებელი კომპლექსი, ფასი ჯერჯერობით უცნობია. დიმიტრი ადამია ამბობს, რომ ვარკეთილში ჯერ გაყიდვები არ ჰქონიათ, ამიტომ ზუსტი ფასი მას შემდეგ გახდება ცნობილი, რაც კვლევას ჩაატარებენ და საბაზრო ღირებულებას გაიგებენ.

გაურკვეველი კიდევ ერთი საკითხი რჩება, რა პერიოდში გაყიდის ბინებს არქი ჯგუფი, როდესაც პროექტი დასრულდება, რადგან წლის განმავლობაში ვარკეთილში საშუალოდ მხოლოდ 500-600 ბინა იყიდება.

ამ ეტაპზე გარკვეულია ერთი რამ, ხრუშჩოვკების ჩანაცვლების მძიმე ტვირთი „არქი ჯგუფმა“ საკუთარ თავზე აიღო და კახა კალაძის წინასაარჩევნო დაპირებაც შესრულებას იწყებს..

კომერსანტი

ქუთაისში ირაკლი კანკიამ დედის, ნანა ბერიას, ბინა ააფეთქა

18 ივნისს ქუთაისში ავტომშენებლის გამზირის მცხოვრებლები გამთენიისას ძლიერი აფეთქების ხმამ შეძრა. ჯერ ჩხუბის, შემდეგ კი აფეთქების ხმა მეზობლებმა იქ დილის 6-ის ნახევარზე გაიგეს.

ბინებიდან გამოსულმა ადამიანებმა ნახეს, როგორ იწვოდა ცეცხლში მათი 5 მეზობელი. თვითმხილველების მტკიცებით, ცეცხლი ბინას, სავარაუდოდ, ქონებრივი დავის გამო მოუკიდეს.

აფეთქების წინ ხალხმა მოისმინა ბინის მეპატრონის, ნანა ბერიას და მისი შვილის ჩხუბი. შუახნის ქალი ყვიროდა, რომ გამთენიისას მასთან სახლში მისული 35 წლის ირაკლი კანკია ბენზინის 4 ბიდონით კორპუსის დაწვას ცდილობდა.

42 კვადრატული ფართის ბინა, რომელიც 18 ივნისს დილით ააფეთქეს, დიდი ხანის განმავლობაში დაკეტილი იყო. ბინის მფლობელი ნანა ბერია წლების განმავლობაში მოსკოვში ცხოვრობდა და ქუთაისში რამდენიმე დღის წინ დაბრუნდა.

ბათუმიდან დედის ბინაში შვილი, ირაკლი კანკია, ღამით გაემგზავრა. ტაქსის მძღოლი, რომელმაც ის ბათუმიდან ქუთაისში ჩაიყვანა, ყვება, რომ ახალგაზრდა მამაკაცმა გზად ბენზინი შეიძინა.

ბინა, რომელსაც ცეცხლი მოუკიდეს, ერთ-ერთი დაზარალებულის, ნანა ბერიას საკუთრებაა. ის იპოთეკით მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „ბერმელში“ იყო დატვირთული.

უცნობია, უკავშირდება თუ არა კონფლიქტი ქონებრივ დავას. ნანა ბერიას მდგომარეობა კრიტიკულია, მას სხეულის 75% აქვს დამწვარი და ჯერ პოლიცია მის დაკითხვას ვერ ახერხებს. მძიმეა მთავარი ბრალდებულის, 35 წლის ირაკლი კანკიას მდგომარეობაც, ის სასწრაფო გადაუდებელი დახმარების ბრიგადებმა თბილისში გადმოიყვანეს.

ხანძრის და აფეთქების შედეგად სულ ქუთაისში 7 ადამიანი დაშავდა. აქედან ხუთის მდგომარეობა მძიმეა. ხალხი ყვება, რომ თავი საშინელებათა ფილმში ეგონა, რადგან საკუთარი თვალით უყურებდნენ, როგორ იწვოდნენ ადამიანები, თუმცა ძლიერი ცეცხლის გამო, შველას ვერ ახერხებდნენ.

გამოძიება შინაგან საქმეთა სამინისტროს ოჯახური ძალადობის ნიადაგზე განზრახ მკვლელობის მცდელობის მუხლით დაიწყო.

ბრალი ჯერ ერთადერთი ეჭვმიტანილისთვის, ირაკლი კანკიასთვის არ წაუყენებიათ. საქართველოში დაბრუნებამდე კანკია სასჯელს რუსეთის ფედერაციაში იხდიდა.

მსახიობი გალინა ხვიჩია ბორჯომში ავარიაში დაიღუპა

„ვაჟას შვილიშვილები წაუყვანია სასეირნოდ და მაშინ დაეჯახა მანქანა“

გუშინ, 19 ივნისს, ბორჯომში, რუსთაველის ქუჩაზე, 3 ქვეითად მოსიარულეს, 60 წელს გადაცილებულ ქალს და 2 მცირეწლოვანს, ავტომანქანა დაეჯახა.

დაშავებულები ბორჯომის ჯეო-ჰოსპიტალსის სამედიცინო ცენტრში გადაიყვანეს.

მოგვიანებით ქალი საავადმყოფოში გარდაიცვალა. ორი მცირეწლოვანი კლინიკაში დარჩა, მათ სიცოცხლეს საფრთხე არ ემუქრება.

ჯეო-ჰოსპიტალსის დირექტორის, ირაკლი დიასამიძის, თქმით, ქალს თავზე პოლიტრამვები ჰქონდა რამაც, მისი გარდაცვალება გამოიწვია.

ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად გარდაცვლილი მესხეთის თეატრის 75 წლის მსახიობი გალინა ხვიჩიაა.

გალინა ხვიჩია ბორჯომში, დასასვენებლად, თეატრის მსახიობ ვაჟა ნიკოლაშვილთან და მის შვილიშვილებთან ერთად იმყოფებოდა.

– ვაჟას შვილიშვილები წაუყვანია სასეირნოდ და ეს ამბები მომხდარა, მეც ვაზუსტებ რაღაცებს, სხვა დეტალები არ ვიცი, – უთხრა „სამხრეთის კარიბჭეს“ თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლია სულუაშვილმა.

გალინა ხვიჩია მესხეთის დრამატული თეატრის მსახიობი 52 წლის განმავლობაში იყო. ახალციხეში თეატრალური კარიერის დასაწყებად თბილისიდან 1967 წელს წამოვიდა და ერთ-ერთია დასის იმ 17 წევრს შორის, ვისთან ერთადაც მესხეთის თეატრმა არსებობა დაიწყო.

შსს-მ საქმეზე ძიება ძიება, სსკ-ს 276 მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს და ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე ან მძიმე დაზიანება გამოიწვია.

„სოხაძე ამბობს, რომ საფაროვს ცივი იარაღი კანდელაკიშვილმა დაარტყა“

ვიტალი საფაროვის საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებული დაიკითხა

გუშინ, 19 ივნისს, მოკლული უფლებადამცველის, ვიტალი საფაროვის, საქმეზე თბილისის საქალაქო სასამართლოში ერთ-ერთი ბრალდებული, გიორგი სოხაძე დაიკითხა.

როგორც მოკლული საფაროვის ოჯახის ადვოკატი, ეკა ქობესაშვილი აცხადებს, გუშინ დაკითხულმა ბრალდებულმა მეორე ბრალდებული საფაროვის მკვლელობაში ამხილა.

– მოწმის სახით დაიკითხა ბრალდებული გიორგი სოხაძე, მან ისაუბრა მკვლელობასთან დაკავშირებით თავის ვერსიაზე. სოხაძემ სასამართლოს განუცხადა, რომ ნამდვილად იმყოფებოდნენ შემთხვევის ადგილზე და დაადასტურა, რომ ვიტალი საფაროვის მიმართ ცივი იარაღი გამოიყენა ავთანდილ კანდელაკიშვილმა.

ამ ბრალდებულმა დეტალურად ისაუბრა თავის ჩვენებაზე, ფაქტობრივად, ამხილა მეორე ბრალდებული ავთანდილ კანდელაკიშვილი.

გიორგი სოხაძე ბრალს არ აღიარებს, თავის ვერსიაში ბრალდებული იძახის, რომ კონფლიქტის დროს ცდილობდა სიტუაციის განმუხტვას, – განაცხადა ქობესაშვილმა.

საქმის პროკურორი მიხეილ ჩხეიძე კი აცხადებს, რომ დაკითხულმა ბრალდებულმა თავის გადარჩენის მიზნით მისცა თავისივე ვერსიით ჩვენება.

– გამოძიების არც ერთ ეტაპზე, გიორგი სოხაძეს, არც მოწმის სახით, არც ბრალდებულის სახით ჩვენება არ აქვს მიცემული, მას გამოძიებასთან არ უთანამშრომლია. დღევანდელ პროცესზე მან საკუთარი ვერსია გააჟღერა. კერძოდ, ის რომ მას შემთხვევის ადგილზე ვიტალი საფაროვისთვის დაზიანება არ მიუყენებია და რომ არც დაუნახავს, ვინ მიაყენა მას ეს დაზიანება. დღევანდელი მისი ჩვენება საქმისათვის არანაირ მნიშვნელობას არ წარმოადგენს. ეს იყო მისი თავის გადარჩენის მიზნით მოყვანილი ჩვენება, – განაცხადა ჩხეიძემ.

ვიტალი საფაროვი 2018 წლის 30 სექტემბერს დიუმას ქუჩაზე მოკლეს.

ის არასამთავრობო ორგანიზაცია „ჩართულობისა და განვითარების ცენტრში“ მუშაობდა. საფაროვის მკვლელობის ბრალდებით ორი პირი, ავთანდილ კანდელაკიშვილი და გიორგი სოხაძე არიან დაკავებული.

მათ სიძულვილის მოტივით ჯგუფურად განზრახ მკვლელობა ედებათ ბრალად, რაც სასჯელის სახედ 13-დან 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის 6 ფაქტი გამოვლინდა, პასუხისგებაში 23 მეწარმე მიეცა

ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ფაქტების შედეგად, რომელიც ერთი თვის განმავლობაში გამოვლინდა, ყალბად შექმნილი აქტივის ოდენობა 85 მილიონ ლარს აღემატება.

როგორც ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის უფროსის მოადგილემ ვაჟა ფანოზიშვილმა ბრიფინგზე განაცხადა, ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ექვსი ფაქტია გამოვლენილი, რაზეც, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცა 23 მეწარმე, მათგან პატიმრობაში იმყოფება 17 პირი, ხოლო 6 პირს ბრალდება წარედგინა დაუსწრებლად და გამოცხადდა ძებნა.

– საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახური, მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, განმარტავს, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის თანამშრომლების მიერ, უკანასკნელი ერთი თვის განმავლობაში, გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, გამოვლენილი იქნა ჯგუფურად, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების დამზადება-გამოყენებისა და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ექვსი ფაქტი, რაზეც, ბრალდებულის სახით, პასუხისგებაში მიეცა 23 მეწარმე, მათგან პატიმრობაში იმყოფება 17 პირი, ხოლო 6 პირს ბრალდება წარედგინა დაუსწრებლად და გამოცხადდა ძებნა.

გამოძიებით დადგენილია, რომ ბრალდებულები, განსაკუთრებით დიდი ოდენობით უკანონო შემოსავლის მიღების მიზნით, საქართველოს სხვადასხვა რეგიონში რეგისტრირებული კომპანიების მეშვეობით, ახორციელებდნენ უსაქონლო ოპერაციებს, რა დროსაც, ისინი აყალბებდნენ დამატებულ ღირებულების გადასახადის ანგარიშფაქტურებს, ასევე, საგადასახადო დეკლარაციებში ყალბი მონაცემების შეტანის გზით, იქმნიდნენ ყალბ აქტივს დამატებული ღირებულების გადასახადში. რომელსაც შემდგომში იყენებდნენ საქართველოში იმპორტირებული საქონლის, ძირითადად ნავთობპროდუქტების განბაჟებისათვის განკუთვნილი გადასახადების გადახდისა და მიმდინარე საბიუჯეტო ვალდებულებების დაფარვისათვის.

ამ ეტაპზე დადგენილია, რომ ფიქტიურად, ყალბად შექმნილი აქტივის ოდენობა აღემატება 85 მილიონ ლარს. რის შედეგადაც, სახელმწიფო ბიუჯეტს ათეულობით მილიონი ლარის ზიანი მიადგა.

ტარდება შესაბამისი ღონისძიებები აღნიშნულ დანაშაულებრივ ქმედებებში სხვა კომპანიებისა და და პირების გამოვლენა მხილების მიზნით.

გამოძიება გრძელდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 210-ე მუხლის მეორე და 194-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 9-დან 12 წლამდე ვადით“ – განაცხადა ვაჟა ფანოზიშვილმა.

ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს ბრალი წარუდგინეს

ბიძის მიერ მოკლული 13 წლის ძმისშვილის საქმე გრძელდება

რუსთავში, ბიძის მიერ მოკლული 13 წლის ძმისშვილის საქმესთან დაკავშირებით დაკავებულ ექიმ-ფსიქიატრ თამარ ალადაშვილს ბრალი ოფიციალურად წარუდგინეს.

როგორც დაკავებულის ადვოკატმა დავით დადიანმა განაცხადა, მას ბრალი სსკ-ის 220-ე პრიმა მუხლის, მეორე ნაწილით წაუყენეს, რაც გულგრილობას, სამსახურებრივი მოვალეობის არაჯეროვნად შესრულებას გულისხმობს, რამაც ადამიანის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი გამოიწვია.

დანაშაული თავისუფლების აღკვეთას ორიდან ხუთ წლამდე ითვალისწინებს.

ადვოკატის თქმით, სასამართლო სხდომა აღკვეთი ღონისძიების შეფარდებაზე 20 ივნისს გაიმართება.

– ექიმი თავს დამნაშავედ არ ცნობს. თქვა, რომ გაეცნობა სრულად საქმის მასალებს და შემდეგ უფრო ვრცლად ჩამოაყალიბებს თავის პოზიციას. გადმოგვცემენ სისხლის სამართლის საქმის მასალებს, გავეცნობით და სრულად ჩამოვაყალიბებთ პოზიციას.

ერთია, რას უყენებენ ბრალს და მეორე, რა პოზიცია აქვს მას. გამოძიების პერიოდში დგინდება ყველა ჭეშმარიტება. როგორც თამარ ალადაშვილი განმარტავს, პაციენტი დასატოვებლად არ მიუყვანიათ. არაფერი არ ეტყობოდაო და არც ვიდეოკადრებზე არის ჩაწერილი რაიმე სახის აშლილობა, – განაცხადა დავით დადიანმა.

ადიგენთან მერსედესი არხში გადავარდა



2 პირი დაშავდა

ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა ადიგენის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩორჩანთან.

თვითმხილველების თქმით, „მერსედესის“ მარკის მსუბუქი ავტომანქანა გზის გვერდზე, რამდენიმემეტრიან არხში გადავარდა.

შემთხვევის შედეგად დაშავდა ორი პირი. ერთს გულმკერდის არეში დაჟეჟილობა აღენიშნება, მეორეს კი წარბი აქვს გახეთქილი.

ორივე მამაკაცი სასწრაფო დახმარების ბრიგადამ ახალციხის რეფერალურ ჰოსპიტალში გადაიყვანა. მათ გამოკვლევები ჩაუტარდათ.

– ორივეს მდგომარეობა არის სტაბილური. ერთს ზედაპირული ექსკორიაციები აღენიშნება, მეორეს უტარდება ინსტრუმენტული კვლევები. საბოლოო შედეგი ამის შემდეგ გვეცოდინება, – უთხრა „სამხრეთის კარიბჭეს“ კლინიკის მენეჯერმა ხათუნა კეკელაშვილმა.

შსს-მ გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მეორე ნაწილით დაიწყო, რაც საგზაო მოძრაობის უსაფრთხოების წესების დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ჯანმრთელობის ნაკლებად მძიმე დაზიანება.

2019, 20 ივნისი, №144

პლახოტნიუკი და მისი გუნდი მოლდოვიდან პრეზიდენტმა დოდონმა გააპარა

„სხვა შემთხვევაში სამოქალაქო ომს მივიღებდით“

მოლდოვა ოლიგარქისგან გათავისუფლდა. ახლა ქვეყანას კურიოზული კოალიცია მართავს, რომელიც პრორუსული და პროდასავლური ძალებითაა დაკომპლექტებული. საზოგადოებაშიც სულ უფრო ხშირად გაისმის კითხვა: რა მოხდა და ამის შემდეგ რას უნდა ველოდოთ?!

ოლიგარქიული მოლდოვა არც რუსეთს მოსწონდა, არც ევროკავშირს და არც აშშ-ს. მიუხედავად ამისა, სამი წამყვანი მოთამაშე კარგა ხანს ქვეყნის მომავალს თავისებურად ხედავდა. შეთანხმება მხოლოდ მას შემდეგ მოხდა, როცა სახელისუფლებო სტრუქტურები ჩამოიშალა, გაჩნდა 2 პრეზიდენტი, 2 პოლიცია და ა.შ. ქვეყანას სამოქალაქო ომამდე ერთი ნაბიჯიღა აშორებდა. ამან რუსეთ-აშშ-ევროკავშირის შეთანხმებაც განაპირობა. მისი არსი შემდეგშია: მოლდოვა ნეიტრალური, ფედერაციული და ოლიგარქებისგან თავისუფალი ქვეყანა გახდება.

ოლიგარქი პლახოტნიუკისა და მისი გუნდის საზღვარგარეთ გაქცევამ ყველა გააოცა. მოლდოველები მოელოდნენ, რომ პლახოტნიუკს გაასამართლებდნენ და ნაძარცვი ქონებაც კონფისკებული იქნებოდა.

ეს არ მოხდა. აღსანიშნავია ერთი ფაქტი: პლახოტნიუკთან დაახლოებული ბიზნესმენების ნაწილი მეზობელ უკრაინაში მანქანებით გაემგზავრა. ამისთვის მათ რუსების მიერ ოკუპირებული დნესტრისპირეთის გავლა მოუხდათ. რუსეთში მათ მიმართ სისხლის სამართლის საქმეა აღძრული. მიუხედავად ამისა, ამ ხალხის დაკავება არავის უცდია. მოლდოვაშიც დაირხა ხმა, რომ პლახოტნიუკის დაჭერა არც რუსეთს და არც ამერიკას აწყობდა. რუსები და ამერიკელები შეთანხმდნენ, პუტინმაც თავის პროტეჟე დოდონს პლახოტნიუკის გაპარვა დაავალა. დოდონმა ბრძანება შეასრულა.

– ჩვენ არავინ არაფერი გვკითხა! მოლდოვის ბედი უცხოეთში უცხო ძალების მიერ გადაწყდა! პაიკებივთ გაგვათამაშეს! – ამას კიშინიოვის ქუჩებში ხშირად გაიგონებთ.

ჟურნალისტმა დოდონს პირდაპირ ეთერში ჰკითხა, როგორ მოხდა, რომ პლახოტნიუკი გაიქცა და მთელი საძმაკაცოც წაიყვანა.

– პლახოტნიუკს და მის გუნდს გაქცევაში მე დავეხმარე! – მიუგო დოდონმა.

– რატომ?!

– როცა ვირთხას კედელთან მიიმწყვდევ, ის შეტევაზე გადმოდის ხოლმე! პლახოტნიუკისა და მისი გუნდის დაპატიმრება, მათთვის ქონების ჩამორთმევა სამოქალაქო ომს ნიშნავდა. ეს უფრო მეტი ბოროტებაა, ვიდრე მათი ქვეყნიდან წასვლა, – უპასუხა დოდონმა.

ოლიგარქიული მოლდოვა უკვე განვლილი ეტაპია. პლახოტნიუკის გაქცევის შემდეგ ქვეყანაში ბევრი მაფიოზი დაბრუნდა, ვინც პლახოტნიუკის კონკურენტები იყვნენ.

ერთ-ერთი მათგანია ქალაქ ბელცის ექსმერი და პრორუსული „ჩვენი პარტიის“ ლიდერი რენატო უსატი. მას ბრალად დანაშაულებრივი ჯგუფის შექმნა და მკვლელობები ედებოდა. ექსპერტები ვარაუდობენ, რომ უსატის ჩასვლა მოლდოვაში სიტუაციას დაძაბავს, საბოლოოდ კი ყოველივე აფეთქებით დასრულდება.

პლახოტნიუკი წავიდა. რა მოხდება შემდეგ? ცხადია ერთი: ამ ქვეყნის ბედი მოლდოვაში არ გადაწყდება.

მერკელი: „დონბასი და ყირიმი უკრაინას უნდა დაუბრუნდეს“

ვლადიმერ ზელენსკი გერმანიაში ჩავიდა

18 ივნისს უკრაინის პრეზიდენტი ვლადიმერ ზელენსკი გერმანიაში ჩავიდა.

ის გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელს შეხვდა. მოლაპარაკების ძირითადი თემები გერმანია-უკრაინის ურთიერთობა, უკრაინაში გერმანული ინვესტიციების გაზრდა, აგრეთვე რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები იყო.

ამ უკანასკნელში სიცხადე თავად მერკელმა შეიტანა. ზელენსკის ჩასვლამდე ერთ საათით ადრე მან ჟურნალისტებს განუცხადა:

– რუსეთის წინააღმდეგ სანქციები მანამ გაგრძელდება, სანამ ყირიმი და დონბასი უკრაინას არ დაუბრუნდება!

პრესკონფერენციაზე მერკელმა უკრაინის დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობისადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დააფიქსირა. მან განაცხადა, რომ რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციები შენარჩუნდება.

– ჯერჯერობით სანქციების გაძლიერებაზე საუბარი არ არის, მაგრამ არსებული სანქციები შენარჩუნდება მანამ, სანამ დონბასი და ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება, – გაიმეორა გერმანიის კანცლერმა.

მერკელი ევროპის საპარლამენტო ასამბლეაში რუსეთის შესაძლო დაბრუნების საკითხსაც შეეხო. მან თქვა, რომ ეს უპირობოდ არ უნდა მოხდეს.

– რუსეთი მოვალეა, რიგი ვალდებულებები შეასრულოს. ამის გარეშე ასამბლეაში მის დაბრუნებაზე ლაპარაკიც ზედმეტია, – განაცხადა კანცლერმა.

უკრაინის პრეზიდენტმა მერკელს მხარდაჭერისთვის მადლობა გადაუხადა. მან აღნიშნა, რომ უკრაინა-გერმანიის თანამშრომლობა გაღრმავდება, გაიზრდება გერმანული ინვესტიციების რაოდენობაც.

ამავე დროს, ზელენსკიმ 2 ქვეყანას შორის არსებული უთანხმოებებიც აღიარა.

– პროექტ „ჩრდილოეთის ნაკად 2“-ის მიმართ ჩვენ დიამეტრალურად განსხვავებული მიდგომები გაგვაჩნია. გერმანია ამ პროექტის განხორციელებას მხარს უჭერს, უკრაინა კი არა, – თქვა ზელენსკიმ.

უკრაინელი დეპუტატი ტიმჩუკი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს

კიევში, რადას დეპუტატი „სახალხო ფრონტიდან“ დიმიტრი ტიმჩუკი საკუთარ სახლში გარდაცვლილი იპოვეს.

ეს გუშინ, 19 ივნისს, მოხდა.

ამის შესახებ ინფორმაცია დეპუტატმა ანტონ გერაშენკომ გაავრცელა.

მისივე ინფორმაციით, ტიმჩუკმა საკუთარ სახლში, პისტოლეტის გაწმენდის დროს, მიიყენა სასიკვდილო დაზიანება.

ფილადელფიაში მილიარდ დოლარზე მეტი ღირებულების კოკაინი ამოიღეს

აშშ-ის ფედერალურმა, შტატისა და ადგილობრივმა სამართალდამცავებმა ერთობლივი ოპერაციის დროს ფილადელფიის ნავსადგურში გემიდან ამოიღეს 16,5 ტონა კოკაინი, რომლის ღირებულებაც მილიარდ დოლარზე მეტია. კოკაინის ასეთი მსხვილი პარტიის ამოღება აშშ-ის ისტორიაშიც კი იშვიათი შემთხვევაა.

კოკაინი 7 კონტეინერში იყო განაწილებული.

დაკავებულია ეკიპაჟის 2 წევრი, რომლებმაც კოკაინის გემზე დატვირთვაში მონაწილეობა აღიარეს.

გემი მანამდე იმყოფებოდა ლათინური ამერიკის პორტებში, ჩილეში, პერუში, კოლუმბიასა და პანამაში.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდებაში ეჭვმიტანილია 11 ადამიანი

დამოუკიდებელმა საერთაშორისო საგამოძიებო ქსელმა „ბელინგკატმა“ მალაიზიური „ბოინგის“ ჩამოგდებაში ეჭვმიტანილთა 11 კაციანი სია წარადგინა.

გუშინ, 19 ივნისს, ქსელმა პრესკონფერენცია გამართა, სადაც მიუთითა „ბოინგის“ ჩამოგდებაში მონაწილეთა სამხედრო წოდებები და რადიოკავშირისთვის გამოყენებული მეტსახელები.

იგულისხმება ჰაერსაწინააღმდეგო სარაკეტო კომპლექსის „ბუკის“ რუსეთიდან უკრაინაში ტრანსპორტირება, დაცვა, სროლა და უკან რუსეთში დაბრუნება.

ამ სიაში პირველი ოთხი გვარი: იგორ გირკინი („სტრელკოვი“), სერგეი დუბინსკი, ოლეგ პულატოვი, ლეონიდ ხარჩენკო ემთხვევა საერთაშორისო ოფიციალური გამოძიების მიერ გამოქვეყნებულ გვარებს.

მათ გარდა „ბელინგკატი“ ასახელებს კიდევ 7 პირს: ედუარდ გილაზოვს, ოლეგ შარპოვს, იგორ ბეზლერს, სერგეი პოვალიოვს, იგორ უკრაინეცს, ალექსანდრ ხოდაკოვსკის და ალექსანდრ სემიონოვს.

განცხადებები

ᲨᲔᲕᲘᲡᲧᲘᲓᲘᲗ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ!

● შევიძენ ძველ ანტიკვარულ ნივთებს, ნახატ სურათებს, ძველ წიგნებს. ტელ: 598-43-98-57.

ᲯᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ, ᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝᲑᲐ

● ფოტოსურათით მოგიხსნით აგრესიას, ეჭვიანობას, შებოჭილობას, თვითმკვლელობის სურვილს, შფოთიან ძილს, ალკოჰოლიზმს, აზარტული თამაშების სურვილს, პათოლოგიურ სიმთვრალეს, აკვიატებებს, უიმედობას, ჯადო-თვალი-წყევლას. ფირმა „იადიგარ დაუდის“ დირექტორი ნანა ქიბროწაშვილი. ტელ: 599-49-84-23.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის: პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა-ტკივილი შარდვისას, პოტენციის დაქვეითება (იმპოტენცია), კუჭ-ნაწლავის პრობლემების მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით, უკუჩვენების გარეშე, გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-87; 218-46-08 ექიმი მეგი.

● ძვლის პრობლემების მკურნალობა: კოქსართროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული და პოდაგრული ართრიტი, ტკივილის, შეშუპების, შებოჭილობის მოხსნა, მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციებ სახსრებზე, დაზიანებული ხრტილისა და სახსარში სითხის ბალანსის აღდგენა-მკურნალობა უკუჩვენების გარეშე 100%-იანი გარანტიით. მის: აღმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● კუჭ-ნაწლავის არასწორი კვებით გამოწვეული დარღვევებისგან: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან თავის დაღწევა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება, ღვიძლის გაწმენდა უჯრედულ დონეზე, გამოკვლევები უახლესი აპარატურით 15 წუთში, გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ეკოპრეპარატებით და ეკოსანთლებით. შედეგები მყარია, უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: სამსახ. 247-58-83 ან 571-72-03-11.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, თრომბის თავიდან აცილება, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, ღვიძლის გაწმენდა, სხეულის წონის კორექცია: დაკლება 5-დან 20 კგ-მდე, მომატება 2-დან 6 კგ-მდე თვეში. გაჯანსაღება 100%-ით მცენარეული ბიოპრეპარატებით. უკუჩვენებათა გარეშე. ტელ: 577-29-37-41 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდა კურსით 3-6 სმ-ის მომატებით, ძვლის მკვებავი მინერალების, ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა-დანიშნულება ინდივიდუალურია და გამეორება შეგიძლიათ სასურველი შედეგის მიღებამდე (26 წლამდე). ასევე გახდომა სწორი კვებით აკრძალვების გარეშე, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგებით კურსით 5-18 კგ-ის დაკლებით. წონის მომატება კურსით 1-5 კგ-მდე. სწრაფად და ეფექტურად იმუნიტეტის გაძლიერებით. მიღებული შედეგის სტაბილურად შენარჩუნებით. ტელ: 599-72-21-48 ან 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი – სქესობრივი უძლურებისა და შარდ-სასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-სტაბილიზაცია-პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი, ქავილი, გაორებული შარდის ნაკადი, უნებლიე შარდვა (ბავშვებშიც), ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვენერიული ინფექციისგან გაწმენდა. რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება, გაჯანსაღება ეკობიო-მცენარეული პრეპარატებით, იმუნიტეტის გაძლიერებით. უკუჩვენების გარეშე. მყარი, საუკეთესო შედეგებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● ძვალ-სახსართა ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოქონდროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრული ართრიტით, მაანკილოზირებული სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, კრუნჩხვების და შეზღუდულობის მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება, ასევე გაჯანსაღება უკვე ნაოპერაციები სახსრების ძვლის მკვებავი 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, სისხლძარღვების ქოლესტერინისგან გაწმენდით, 22-წლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-90-54-78 ან 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების მოხსნა და აცილება, ნევროზის, დეპრესიის, უძილობის, აკვიატების, აგრესიით, „თეთრი ცხელების“, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების დარეგულირება, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება, ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე, სისხლძარღვების გაწმენდა ქოლესტერინისგან, პოტენციის და იმუნიტეტის აწევა, შარდის აქტის მოშლისა და ენურეზისაგან განთავისუფლება, გაჯანსაღება ეკობიოპრეპარატებით. საჭირო კვლევები უახლესი აპარატურით (15 წუთში), 22-წლიანი გამოცდილებით, უკუჩვენებათა გარეშე, მყარი შედეგები. სუპერმენეჯერი ქ-ნი ქეთევანი. ტელ: 599-72-21-38 ან 234-02-38.

ქართულ კლუბებს წილისყრაში გაუმართლა

მალე ახალი ევროპული სეზონი იწყება. გუნდები ძველი კონტიტენტის ეგიდით გამართულ ტურნირებში ჩაებმებიან. საქართველოდან ევროტურნირებზე 4 გუნდი იასპარეზებს: ქვეყნის ჩემპიონი საბურთალო ჩემპიონთა ლიგაზე ითამაშებს, ხოლო მეორეადგილოსანი თბილისის დინამო, მესამეადგილოსანი ქუთაისის ტორპედო და საქართველოს თასის მფლობელი საჩხერის ჩიხურა – ევროპის ლიგაზე.

შვეიცარიის ქალაქ ნიონში ორივე ტურნირის 2019-20 წლების სეზონის პირველი საკვალიფიკაციო ეტაპის წილისყრა გაიმართა. ცხადია, ჩვენი რეიტინგიდან გამომდინარე, ყველა ქართული გუნდი საკვალიფიკაციო ეტაპიდან იწყებს ბრძოლას. მეტიც, 4 გუნდიდან განთესილი მხოლოდ დინამო იყო.

ამჯერად ოთხივე გუნდს ძალიან გაუმართლა, რადგან უფრო დიდი შანსი იყო მეტოქეებად გაცილებით ძლიერი გუნდები ამოსულიყვნენ.

წილისყრის შედეგად გაირკვა, რომ საქართველოს ჩემპიონის, თბილისის საბურთალოს მეტოქე ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზე ტირასპოლის შერიფი იქნება.

საბურთალო საკვალიფიკაციო ეტაპის პირველ მატჩს 9 ივლისს სტუმრად გამართავს, ხოლო საპასუხო შეხვედრა 16 ივლისს თბილისში გაიმართება.

რა ვიცით შერიფის შესახებ? პირველი ის, რომ მოლდოვის ჩემპიონია. კიდევ უფრო ახლოს ვიცნობთ გასული სეზონიდან, როდესაც შერიფი ამავე ეტაპზე ქუთაისის ტორპედოს ეთამაშა. ქუთაისში შეხვედრა ტორპედომ მოიგო – 2:1, ხოლო ტირასპოლში ქართველებმა უშანსოდ წააგეს – 0:3.

მომავალ მეტოქეზე კომენტარი გააკეთა **საბურთალოს მთავარმა მწვრთნელმა გიორგი ჭიაბრიშვილმა:**

– ჩემპიონთა ლიგის პირველ საკვალიფიკაციო ეტაპზეც კი სუსტი გუნდი არ არსებობს. 5 სავარაუდო

მეტოქიდან შესაძლო იყო სხვა გუნდებიც შეგვხვედროდა, მაგრამ მოწინააღმდეგედ მოლდოვური შერიფი გვერგო. სიმართლე გითხრათ, სურვილი მქონდა გლაზგოს სელტიკს შევხვედროდით.

შერიფის თამაში ბოლოს ქუთაისის ტორპედოს წინააღმდეგ ვნახე, როდესაც ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე შარშან შეხვდა. ვიცით ისიც, რომ ეროვნული ლიგის გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელი, ლეანდრო რიბეირო სადღეისოდ შერიფში ირიცხება, რომელსაც მუდმივი სათამაშო პრაქტიკა არ აქვს.

რაც შეეხება საშინაო თუ საგარეო შეხვედრას, მერჩივნა, პირველი შეხვედრა საკუთარ კედლებში გვქონოდა, თუმცა ახლა ამაზე საუბარი არ ღირს. ვეცდებით, 2 თამაშის ჯამში შემდეგ ეტაპზე გავიდეთ და გავახაროთ ქართველი გულშემატკივარი.

წილისყრის შესახებ ისაუბრა **მოლდოვური კლუბის მწვრთნელმა ზორან ზეკიჩმაც:**

– ჯერ არ ვიცით, რა გუნდია ჩვენი მეტოქე. თუ ისინი საქართველოს ჩემპიონები არიან, ესე იგი, ეს ტიტული დაიმსახურეს. მოწინააღმდეგეს პატივისცემით მივუდგებით. ჩვენი მთავარი მიზანი მომავალი მატჩებისთვის კარგად მომზადებაა.

ლეანდრო რიბეირო გასულ სეზონში გორის დილას შემადგენლობაში იყო. ცხადია, ის კარგად იცნობს ქართულ ფეხბურთს, ამიტომაც მოლდოველი ჟურნალისტები უმალვე მასთან გაჩნდნენ და წილისყრის შესახებ აზრი ჰკითხეს.

ლეანდრო რიბეირო:

– ჩემთვის კენჭისყრის შედეგი მოულოდნელი იყო, მაგრამ მეტოქის არჩევა არ შეგვიძლია. მუშაობას გავაგრძელებთ და უფრო გავძლიერდებით. ჩემთვის საქართველოში დაბრუნება შესანიშნავია, იქ ცხოვრების გარკვეული ნაწილი გავატარე. იმედი მაქვს, ჩავალ და გამარჯვებას მოვიპოვებ. საბურთალოს წინააღმდეგ მითამაშია, ძალიან რთული მეტოქე და კარგი გუნდია, თუმცა მხოლოდ გამარჯვებაზე ვფიქრობთ. საქართველოს ჩემპიონატი უფრო ტექნიკურია, იქ კარგი ფეხბურთელები თამაშობენ, ისევე, როგორც მოლდოვაში. ქართული ლიგა უფრო რთულია, რადგან ჩემპიონატში მეტი გუნდი მონაწილეობს.

გადავინაცვლოთ ევროპის ლიგის წილისყრაზე.

თბილისის დინამო სან მარინოს ლა ფიორიტასა და ანდორის ენდოგარს შორის გამარჯვებულს შეხვდება. თუ გავითვალისწინებთ დინამოელთა ამჟამინდელ სათამაშო ფორმას, უკეთეს მეტოქეს ვერც ვინატრებდით.

რადგან დინამოს მომავალი მეტოქეები ჯერ ერთმანეთს არ შეხვედრიან, გარკვეული არ არის, როდის და სად გაიმართება პირველი მატჩი.

ამავე მიზეზის გამო კომენტარისგან თავს იკავებენ დინამოს მწვრთნელებიც.

ქუთაისის ტორპედოს მეტოქე ყაზახური გუნდი, შიმკენტის ორდაბასი იქნება. ქართველს აქაც ვერ ავცდით – ორდაბასის მთავარი მწვრთნელი კახა ცხადაძეა.

ტორპედო პირველ მატჩს 11 ივლისს შინ გამართავს, ხოლო საპასუხო მატჩი 18 ივლისს გაიმართება.

კახა ჩხეტიანი:

– ვინც არ უნდა შეგვხვედროდა, ყველასთან საბრძოლველი გვექნებოდა და ასეა ახლაც. ორდაბასი კარგი გუნდია, რომელსაც სათავეში კახა ცხადაძე უდგას. მათ რიგებში 14 ლეგიონერი ირიცხება. გუნდის შემადგენლობაშია ფორვარდი ზიგი ბადიბანგა, რომელმაც თავი გასულ წელს შერიფიდან დაგვამახსოვრა. ასევე ორდაბასის ღირსებას ბრაზილიელი შემტევი ჟოაო პაულო იცავს – ჩვენთვის ისიც ნაცნობი ფეხბურთელია ლუდოგორეციდან...

ჯერჯერობით „გაგრასთან“ გასამართ სათასო მატჩზე ვფიქრობთ. ორდაბასის მატჩებს მოგვიანებით ვნახავთ და გავაანალიზებთ ჩვენი მეტოქის თამაშს.

მინდა, ვისარგებლო შემთხვევით და ქართულ კლუბებს – საბურთალოს, დინამოსა და ჩიხურას ევროტურნირებზე წარმატებული ასპარეზობა ვუსურვო.

კახა ცხადაძე:

– კარგად ვიცით, რომ ქუთაისის ტორპედომ საქართველოში ბოლო 3 წლის განმავლობაში ყველა შესაძლო ტიტული მოიგო. ეს ძლიერი გუნდია, რომელსაც კარგი და ახალგაზრდა მწვრთნელი ჰყავს.

ამ გუნდმა მოიგო ჩემპიონატი, თასი, სუპერთასი და გასულ სეზონში ეროვნულ ლიგაში მეორე ადგილი დაიკავა – კიდევ ერთხელ გავიმეორებ, ეს ძლიერი და სერიოზული კლუბია, თუმცა ახლა კონცენტრირებული მომავალ თამაშებზე ვართ.

საჩხერის ჩიხურას მეტოქე ლუქსემბურგიდანაა – ფოლა ეხი. ზემო იმერლები ჯერ სტუმრად ითამაშებენ და ეს 11 ივლისს იქნება, ხოლო ერთი კვირის თავზე შინ დაუხვდებიან მეტოქეს.

სოსო ფრუიძე:

– სიმართლე გითხრათ, ჩვენი მეტოქე სადღეისოდ რა მდგომარეობაშია, არ ვიცი. არ მინდა რაიმე წინასწარი დასკვნები გავაკეთო, რადგან ამ წუთში ამაზე კი არა, ჩემპიონატის თამაშებსა და ტრავმირებულ მოთამაშეებზე ვფიქრობ. ამის შემდეგ, ნელ-ნელა, თანმიმდევრობით გავეცნობი მეტოქეს.

ნუ შევხედავთ მეტოქეს, რომ ლუქსემბურგიდან არის. ჩვენზე მეტი კოეფიციენტი რომ აქვს, ფაქტია, რადგან განთესილი იყო. ამ ეტაპზე ძალიან ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი მყავს და ვისაც ვათამაშებ რეგულარულად, ამ მომენტისთვის მკურნალობს. ყველაფერი იმაზე იქნება დამოკიდებული, რამდენად სწრაფად გამოჯანმრთელდებიან ისინი. რა თქმა უნდა, თავს არ დავზოგავთ და ბოლომდე ვიბრძოლებთ, მაგრამ წინასწარ რაიმეს თქმა ზედმეტია.

ახალი ფეხბურთელების დამატებაზე რა ვთქვა... ფული რომ გადავიხადოთ, ამის საშუალება არ გვაქვს. შეიძლება სხვა ქართულ კლუბებს დავესესხოთ ფეხბურთელები, ვნახოთ, რა იქნება.

მინსკი თანდათან ივსება

ევროპის მე-2 თამაშები კარს მოგვადგა. თავად მინსკში დიდი აჟიოტაჟი არ იგრძნობა. 4 წლის წინ, ბაქოში გაცილებით სხვა სიტუაცია იყო.

მართალია, ბელარუსიის დედაქალაქში თითქმის ყველამ იცის, რომ ევროპის თამაშები ტარდება, მაგრამ მცირე ნაწილის დამოკიდებულება ასეთია – მერე რა, რომ ტარდება? ეს ქუჩებშიც იგრძნობა. მაგალითად, ბაქოში ევროთამაშების მომსახურე ავტობუსებისთვის ცალკე სამოძრაო ხაზი იყო გამოყოფილი და ვინ გაბედავდა მის ზოლში გადასვლას. მინსკში არ არის – სადღეისოდ ისე ჩანს, რომ სპორტსმენთა თუ ჟურნალისტთა ჯგუფი, შესაძლოა, საცობში მოყვეს. იმედია, ორგანიზატორები ამ საქმეს მარტივად მოაგვარებენ.

სხვა მხრივ პრობლემები არ ჩანს. ყველა დელეგაციას ხვდება შესაბამისი ჯგუფი, მიჰყავთ ადგილებზე, აბინავებენ. ამუშავდა პრესცენტრი, რომელიც ერთდროულად 200 ჟურნალისტის მომსახურებაზეა გათვლილი: კომპიუტერები, სკანერები, პრინტერები... სტუმართათვის ყველაფერი მზადაა.

მინსკი 2019-ის გასაშუქებლად 52 ქვეყნის 1.000-ზე მეტმა ჟურნალისტმა გაიარა აკრედიტაცია.

სპორტის 15 სახეობის 23 დისციპლინაში მედლების 199 კომპლექტი გათამაშდება: 91 მამაკაცებში, 89 ქალებში, ხოლო 19 შერეულ წყვილებში. ბაქოში გამართულ ევროპის პირველ თამაშებთან შედარებით სპორტული პროგრამა შემცირებულია. შედარებისთვის: აზერბაიჯანის დედაქალაქში ჩემპიონები 20 სახეობის 31 დისციპლინაში გამოვლინდნენ.

თუმცა, მინსკი 2019 იმ მხრივაც არის მნიშვნელოვანი, რომ სპორტის 9 სახეობაში ოლიმპიური ლიცენზიები გათამაშდება. სპორტსმენებს შედეგის შესაბამისი ქულები დაერიცხებათ მშვილდოსნობაში, კარატეში, კრივში, ბადმინტონში, მაგიდის ჩოგბურთში, კანოეში, ძიუდოში, ტყვიის სროლასა და მძლეოსნობაში.

4 სახეობაში 2-2 მედლები გაიცემა – ევროპული თამაშებისა და ევროპის ჩემპიონატის. 4 წლის წინ, ბაქოში ასეთი რამ მხოლოდ ძიუდოში დაფიქსირდა. ამჯერად ძიუდოს დაემატა კრივი, კანოე და ბადმინტონი. ჩვენ მხოლოდ ბადმინტონში არ გვყავს წარმომადგენელი.

ჩვენი გუნდის ნაწილი უკვე მინსკშია. თამაშების მასპინძელ დედაქალაქს პირველები ადმინისტრაციული პერსონალი ეწვია. მათ შეუერთდა სამედიცინო პერსონალი, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის წარმომადგენლები და ჟურნალისტები.

სპორტსმენთა დიდი ნაწილიც ბელარუსშია, მოგვიანებით ჩავლენ ის სპორტსმენები, რომლებსაც 10-დღიანი ფორუმის ბოლო დღეებში უწევთ გამოსვლა.

შეგახსენებთ, რომ მინსკი 2019-ზე საქართველოს ღირსებას 61 სპორტსმენი დაიცავს 10 სახეობაში.

გუნდის სრული განრიგი ასეთია:

21 ივნისი

მშვილდოსნობა: ჯაბა მოსეშვილი და ციკო ფუტკარაძე (პირადი პირველობა)

კრივი: სახილ ალახვერდოვი (49კგ), ნიკოლოზ ბეგაძე (91კგ), მიხეილ ბახტიძე (+91კგ)

22 ივნისი

ტყვიის სროლა: ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი (შერეული წყვილი; პნევმატური პისტოლეტი); ნინო სალუქვაძე, ცოტნე მაჭავარიანი, ნინო ხუციბერიძე (პირადი; პნევმატური პისტოლეტი)

სამბო: ვახტანგ ჩიდრაშვილი (57კგ), მინდია ლილუაშვილი (68კგ), ბექა ბერულავა (82კგ), დავით ლორიაშვილი (100კგ), მარიამ ჯანაშვილი (56კგ), ნინო ოძელაშვილი (72კგ), ელენე ქებაძე (+80კგ)

ძიუდო: ამირან პაპინაშვილი (60კგ), ლუხუმ ჩხვიმიანი (60კგ), ვაჟა მარგველაშვილი (66კგ), ბაგრატ ნინიაშვილი (66კგ), ეთერ ლიპარტელიანი (57კგ)

მხატვრული ტანვარჯიში: საღლომე ფაჟავა

კრივი: არტუშ გომციანი (56კგ), ოთარ ერანოსიანი (60კგ), ესკერხან მადიევი (69კგ), გიორგი ხარაბაძე (75კგ), გიორგი მანჯავიძე (81კგ)

23 ივნისი

მშვილდოსნობა: ჯაბა მოსეშვილი და ციკო ფუტკარაძე (შერეული წყვილი)

სამბო: გივი ნადარეიშვილი (52კგ), გენადი ჩირგაძე (62კგ), ლევან ნახუცრიშვილი (74კგ), პაატა ღვინიაშვილი (90კგ), ბექა ბერძენიშვილი (+100კგ), სალომე აბაშიძე (60კგ), ირინე ლეონიძე (80კგ)

ძიუდო: ლაშა შავდათუაშვილი (73კგ), ლუკა მაისურაძე (81კგ)

ველოსპორტი: თენგიზ ბარბაქაძე

მხატვრული ტანვარჯიში: საღლომე ფაჟავა

კრივი: სახილ ალახვერდოვი (49კგ), ნოდარ დარბაიძე (52კგ), ლაშა გურული (64კგ), 75 და 81კგ წონითი კატეგორიები

24 ივნისი

ტყვიის სროლა: ნინო სალუქვაძე და ცოტნე მაჭავარიანი (შერეული წყვილი; სპორტული პისტოლეტი – 50მ)

მშვილდოსნობა: ჯაბა მოსეშვილი

ძიუდო: ბექა ღვინიაშვილი (90კგ), ვარლამ ლიპარტელიანი (100კგ), გურამ თუშიშვილი (+100კგ)

კრივი: 52-56-69-91კგ წონები

ბატუტზე ხტომა: ლუბა გოლოვინა, თეონა ჯანჯღავა

25 ივნისი

ტყვიის სროლა: ნინო სალუქვაძე (სპორტული პისტოლეტი – 25მ)

მშვილდოსნობა: ციკო ფუტკარაძე

თავისუფალი ჭიდაობა: ლაშა ლომთაძე (57კგ), ავთანდილ კენჭაძე (74კგ), სანდრო ამინაშვილი (125კგ), გივი მაჭარაშვილი (125კგ)

ველოსპორტი: თენგიზ ბარბაქაძე

კრივი: 56-60-64-69-75-81კგ წონები

ბატუტზე ხტომა: თენგიზ კოშკაძე; ლუბა გოლოვინა და თეონა ჯანჯღავა (სინქრონი)

26 ივნისი

ტყვიის სროლა: ნინო სალუქვაძე (სპორტული პიტოლეტი – 25მ)

მშვილდოსნობა: ციკო ფუტკარაძე

თავისუფალი ჭიდაობა: ლაშა ლომთაძე (57კგ), ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65კგ), ავთანდილ კენჭაძე (74კგ), სანდრო ამინაშვილი (86კგ), ელიზბარ ოდიკაძე (97კგ), გივი მაჭარაშვილი (125კგ)

კრივი: 52-56-60-64-69-84კგ წონები

კაიაკი და კანოე: ბადრი ყავეღლაშვილი (ჯ1 – 200მ), ზაზა ნადირაძე (ჩ1 – 200მ), მარიამ ქერდიკაშვილი (ჩ1 – 200მ)

27 ივნისი

მშვილდოსნობა: ჯაბა მოსეშვილი

სპორტული ტანვარჯიში: პოლინა ბორზიხი

თავისუფალი ჭიდაობა: ვლადიმერ ხინჩეგაშვილი (65კგ), ელიზბარ ოდიკაძე (97კგ)

კაიაკი და კანოე: ბადრი ყავეღლაშვილი (ჯ1 – 200მ), ზაზა ნადირაძე (ჩ1 – 200მ), მარიამ ქერდიკაშვილი (ჩ1 – 200მ)

28 ივნისი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: დავით ჩხარტიშვილი (60კგ), შმაგი ბოლქვაძე (67კგ), გელა ბოლქვაძე (77კგ)

კრივი: 49-52-56-60-69-75-81-91– +91კგ წონითი კატეგორიები

29 ივნისი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: დავით ჩხარტიშვილი (60კგ), შმაგი ბოლქვაძე (67კგ), გელა ბოლქვაძე (77კგ), რობერტ კობლიაშვილი (87კგ), რევაზ ნადარეიშვილი (97კგ), იაკობ ქაჯაია (130კგ)

კარატე: გოგიტა არქანია (+84კგ)

სპორტული ტანვარჯიში: პოლინა ბორზიხი

კრივი: 52-60-69-81– +91კგ წონითი კატეგორიები

30 ივნისი

ბერძნულ-რომაული ჭიდაობა: რობერტ კობლიაშვილი (87კგ), რევაზ ნადარეიშვილი (97კგ), იაკობ ქაჯაია (130კგ)

სპორტული ტანვარჯიში: პოლინა ბორზიხი

მოამზადა მისეილ ეორეოლიანმა

შედეგები

18 ივნისი

ფეხბურთი

ეროპა ამე1ხიეა

ბოლივია-პერუ 1:3
ბრაზილია-ვენესუელა 0:0

ეონეაეაფი

პანამა-ტრინიდადი 2:0
აშშ-გაიანა 4:0

ევროპის ჩემპიონატი (21)

რუმინეთი-ხორვატია 4:1
ინგლისი-საფრანგეთი 1:2

მსოფლიო ჩემპიონატი ქალები

იტალია-ბრაზილია 0:1
იამაიკა-ავსტრალი 1:4

ფინეთი. ვეიეაესლიგა

ლახტი-როვანიემი 1:2
ჰიფკი-სეინეიოკი 1:0

ჯეიმს ბონდს ახალი ავტომობილი ეყოლება



ჯეიმს ბონდის ახალი ავტომობილი საიდუმლოებას აღარ წარმოადგენს, ის ჰიბრიდული hiperkari Aston Martin Valhala იქნება. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ბრიტანული გამოცემა ავრცელებს.

1,5 მილიონი ფუნტ სტერლინგის ავტომობილს ექვსცილინდრიანი ტურბო ძრავა და ელექტროძრავა ექნება. მანქანის მაქსიმალური სიჩქარე საათში 320 კილომეტრს გადააჭარბებს.

მოდელის ოფიციალური სახელის გამოცხადებამდე ავტომობილი AM-RB 003 კოდური სახელწოდებით იყო ცნობილი. Valhala შეცვლის მეორე Aston Martin DB10-ს, რომელიც სპეციალურად აგენტ 007-ს თავგადასავლებისთვის იყო შექმნილი.

ასევე ცნობილი გახდა, რომ დენიელ კრეიგის გმირი ახალ ფილმში სხვა მანქანებითაც ისარგებლებს. კერძოდ, მას ეყოლება Aston Martin-ის ორი ავტომობილი DB5 და V8 Vantage, ასევე Land Rover Defender-ი.

ჭიანჭველებმა თვითმფრინავის მგზავრები დაკბინეს

ავიაკომპანიის United Airlines-ს თვითმფრინავის სალონი, რომელიც იტალიის ქალაქ ვენეციიდან ამერიკის ნიუ-ჯერსის შტატის ქალაქ ნიუარკში მიფრინავდა, ჭიანჭველებით გაივსო და მწერებმა მგზავრები დაკბინეს.

ინციდენტის თაობაზე ინფორმაცია ერთ-ერთმა მგზავრმა შარლოტა ბერნსმა გაავრცელა.

– რეისზე ვენეცია-ნიუარკი ჩემ ბალიშზე ახლახან მსუქანმა ჭიანჭველამ გაისეირნა. ჰმ. ეს საკმაოდ უცნაურია, – დაწერა გოგონამ ტვიტერში.

საკუთარ სავარძლებზე ჭიანჭველები სხვა მგზავრებმაც შენიშნეს. ეს მას შემდეგ მოხდა, როდესაც ერთ-ერთმა მათგანმა ბარგის თაროდან თავისი ჩანთა ჩამოიღო. როგორც მოგვიანებით გაირკვა, სწორედ მის ბარგში აღმოჩნდნენ მწერები.

– ჭიანჭველები! ჭიანჭველები არიან ყველგან. ისინი ყველა მიმართულებით მიმოიფანტნენ. ეს უბრალოდ სიგიჟეა, – წერდა გოგონა სოციალურ ქსელში.

ნიუარკში დაშვების შემდეგ თვითმფრინავი დროებით რეისების შესრულებისგან მოხსნეს, რათა მისი საგულდაგულოდ დასუფთავება და მწერების ლიკვიდაცია განხორციელდეს.

მამაკაცმა შეცდომით სახლის მაგივრად გაზონი იყიდა

ამერიკის ფლორიდის შტატის მცხოვრებმა შეცდომით აუქციონზე გაზონის ზოლი რამდენიმე ათას დოლარად შეიძინა.

კერვიღ ჰოლნეს დარწმუნებული იყო, რომ ვილა ტამარიკის ყიდვის ძალიან მომგებიანი ხელშეკრულება გააფორმა, რომელიც აუქციონზე მისი წინა მფლობელის მიერ გადასახადების გადაუხდელობის გამო იყო გასაყიდად გამოტანილი. ნაკვეთი 177 ათას დოლარად იყო შეფასებული, ეს იმ დროს, როდესაც მამაკაცმა ლოტში, რომელიც ვილა ეგონა, 9,1 ათასი დოლარი გადაიხადა.

როგორც გაირკვა, მამაკაცმა შეიძინა ორ ნაკვეთს შორის მდებარე 30,5 სანტიმეტრის სიგანისა და 30,5 მეტრი სიგრძის მიწის ზოლი. ეს მიწის ზოლი შეფასებული იყო 50 დოლარად.

შტატის ხელისუფლება ამტკიცებს, რომ ჰოლნესს, რომელიც პირველად მონაწილეობდა ასეთ აუქციონში, ფულს არ დაუბრუნებენ. მამაკაცი ამტკიცებს, რომ არ იყო არანაირი მითითება იმაზე, რომ გასაყიდად გამოტანილი იყო არა ვილა, არამედ მიწის ვიწრო ზოლი. ის შეძენილი ადგილის რაიმე სახით გამოყენებას არ აპირებს.

გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ვებ-გვერდზე, რომელზეც ლოტი იყო გამოტანილი, მითითებული იყო მიწის ზოლის ზომები და ნათქვამი იყო, რომ სახლი მის ფასში არ შედიოდა.

ილუზიონისტმა გუდინის ილეთის გამეორება სცადა და დაიკარგა

ცნობილი ინდოელი ილუზიონისტი ჩანჩალ ლახირი მდინარეში უგზო-უკვალოდ გაუჩინარდა მას შემდეგ, რაც ჰარი გუდინის სახელგანთქმული ილეთის გამეორება სცადა.

ლახირი, რომელიც ასევე ცნობილია, როგორც ჯადოქარი მანდრეიკი, ჯაჭვით და ექვსი ბოქლომით იყო შეკრული. ასეთ მდგომარეობაში ის ნავიდან მდინარე ხუგლიში, განგის ერთ-ერთ შენაკადში, ჩაუშვეს. დაგეგმილი იყო, რომ ის უსაფრთხოდ მოახერხებდა წყლის ზედაპირზე ამოცურვას. ამ ილეთის შესრულების ადგილზე ორ ნავსა და ხორას ხიდზე უამრავი მაყურებელი იყო თავმოყრილი. როდესაც ილუზიონისტი არ გამოჩნდა, მათ პოლიცია გამოიძახეს.

პოლიციამ მყვინთავების დახმარებით შემთხვევის ადგილი გაჩხრიკეს, მაგრამ ლახირის კვალს ვერ მიაგნეს. ხელისუფლებას მისი დაღუპულად გამოცხადება არ შეუძლია, სანამ მის ცხედარს არ აღმოაჩენენ. პოლიციის წარმომადგენელმა ადგილობრივ მას მედიას განუცხადა, რომ, სავარაუდოდ, ილუზიონისტი დინებამ გაიტაცა და სწორედ ამის გამო ვერ შეძლეს მყვინთავებმა მისი პოვნა, მიუხედავად არც თუ ღრმა დინებისა.

ერთ-ერთი ადგილობრივი გაზეთის ფოტოგრაფთან საუბრის დროს, ილუზიონისტმა მისთვის დასმულ შეკითხვაზე, თუ რატომ რისკავდა სიცოცხლეს, ლახირმა უპასუხა:

– თუ მე ამას გავაკეთებ, მაშინ სასწაული მოხდება, ხოლო თუ ვერა, მაშინ ტრაგედია.

თამაშების მოყვარულმა მამაკაცმა ინტერნეტის გამორთვის გამო ოჯახის მოწამვლა გადაწყვიტა

ტაილანდის სისაკეტის პროვინციის მცხოვრებმა ოჯახის წევრების დახოცვა იმის გამო გადაწყვიტა, რომ ისინი ტელეფონით თამაშს უკრძალავდნენ.

29 წლის მამაკაცი დედასთან და მამინაცვალთან ცხოვრობდა. ღამით ის მაღალ ხმაზე დაყენებული ტელეფონით თამაშობდა და სხვებს დაძინებაში ხელს უშლიდა. ხმაურის აღსაკვეთად მამინაცვალმა მას ინტერნეტი გაუთიშა, ხოლო როდესაც ამის გამო გერმა ლანძღვა-გინება დაუწყო, ხელი გაარტყა.

ამის შემდეგ განაწყენებულმა ახალგაზრდამ წყლის ჭაში ჩაყარა სოფლის მეურნეობის მავნებლებთან საბრძოლველად განკუთვნილი ქიმიკატები. დედამ დროულად შენიშნა, რომ წყალს რაღაც სჭირდა და ამიტომ არავინ დაშავებულა.



ქალს იმედი აქვს, რომ მის შვილს სამკურნალოდ გადაიყვანენ.

– ის ტელეფონით ძალიან ბევრს თამაშობს, – ამტკიცებს ქალი, – ვფიქრობ ამიტომაც არის ასეთ სტრესულ მდგომარეობაში. იმის გამო, რომ ის უკვე მოზრდილი ბიჭია, მისი შეჩერება ძალიან რთულია. ჩვენც ამიტომ ვითხოვთ დახმარებას.

მამაკაცმა შვილი დახრჩობას საკუთარი სიცოცხლის ფასად გადაარჩინა

ამერიკის მინესოტას შტატში მამაკაცმა საკუთარი შვილი გადაარჩინა, თავად კი დაიღუპა. ამ ინფორმაციას ერთ-ერთი ადგილობრივი პორტალი ავრცელებს.

შაბათ საღამოს სამი წლის ბავშვი ხიდიდან მდინარეში გადავარდა. მამამისი, 31 წლის კრისტოფერ ფრანკლინ ნიკოლას შულცი, მის კვალდაკვალ წყალში გადახტა. ძლიერი დინების გამო მამაკაცს დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ ბავშვი დახრჩობისგან გადაერჩინა. თვითმხილველებმა ბავშვი წყლიდან ამოიყვანეს, მაგრამ მამამისის გადარჩენა ვეღარ შეძლეს. ბავშვის ჯანმრთელობას საფრთხე არ ემუქრება, მას მხოლოდ უმნიშვნელო ნაკაწრები აღენიშნება.

ადგილობრივი მცხოვრების ბილ უიკუმის თქმით, შულცმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ შვილი გადაერჩინა. მას იმედი აქვს, რომ როდესაც მისი შვილი გაიზრდება, მამის თავდადებას სათანადოდ დააფასებს.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ასტროპროგნოზი

20 ივნისისთვის

ვერძი – კოლეგებთან და ხელმძღვანელობასთან ურთიერთობა იღბლიანია. ორგანიზებულობა და სითამამე დღის დევიზია. **კურო** – ილუზიებს ნუ აჰყვებით. საღი აზრი შეინარჩუნეთ. შორს გამგზავრება რეკომენდებული არ არის. **ტყუპები** – ახლობლები იმედს გაგიცრუებენ. პროფესიაში უკუსვლაა მოსალოდნელი. **კირჩხიბი** – დაისვენეთ, შეიცვალეთ გარემო. ახალი საქმის დასაწყებად ენერგია გჭირდებათ. **ლომი** – იდეების რეალიზებაში კოლეგები დაგეხმარებიან. შესაძლოა, დაგასაჩუქრონ. **ქალწული** – გარისკვა დღეს სასურველ შედეგს გამოიღებს. ფინანსურ ოპერაციებში გიმართლებთ. **სასწორი** – არაჯანსაღი გარემო, საკვები და ინერტულობა ჯანმრთელობას გაგიუარესებთ. ფიზიკური დატვირთვა დღეს სავალდებულოა. **ღრიანკალი** – რომანტიკული შეხვედრა ხასიათს გამოგიკეთებთ. ეცადეთ, დღეს ნაკლები იმუშაოთ. **მშვილდოსანი** – ერიდეთ კომერციულ გარიგებებსა და საქმიან შეხვედრებს. უმჯობესია, ეს დღე ოჯახურ ატმოსფეროში გაატაროთ. **თხის რქა** – ოფიციალურობა და სიხისტე არასასურველია. იყავით გულმოწყალე და მიმნდობი. **მერწყული** – სრულყავით პროფესიონალიზმი, შეისწავლეთ ახალი საქმე. სულიერებაზეც იზრუნეთ. **თევზები** – სოლიდური ორგანიზაციები თქვენ მიმართ ინტერესს ავლენენ. ეცადეთ, საკუთარი ნიჭი და უნარი ფართოდ წარმოაჩინოთ.

გისუჰვებთ ბედნიერ დღეს!

ჯოსვოჰდი ბ



შვეულად: 1. სამონასტრო კომპლექსი კახეთში; 2. არგენტინის ნაკრებისა და „მანჩესტერ სიტის“ ფეხბურთელი; 3. ღვინის კასრების დამამზადებელი ოსტატი; 4. ქართული ავიაკომპანია; 5. ცეცხლსასროლი იარაღის ლულის ღრუს დიამეტრი; 7. საქართველოს პრემიერ-მინისტრი; 11. ჩამოწოლილი ნისლი, ბურუსი; 12. შხამიანი გველი; 13. გერმანელი მწერალი, რომან „სამი მეგობრის“ ავტორი; 14. უძრავი ქონების დაგირავებით აღებული სესხი; 15. სათბურში გამოყვანილი მცენარე, ნერგი; 17. სადაზღვევო მოწმობა; 19. ღვინის ჩამომსხმელი მერიქიფე ქორწილში.

თარაზულად: 5. ნორვეგიის, დანიის, შვედეთის მეფეთა ტიტული; 6. ქუჩის სახელწოდება ძველად საქართველოში; 8. სუსტი არაყი; 9. ფრანგული მინერალური წყალი; 10. ერბოში ჩახარშული ყველით მომზადებული აჭარული კერძი; 11. ძვირფასი თვლებით შემკული თავსამკაული; 13. სამეცნიერო ნაშრომის მოკლე წერილობითი გადმოცემა; 14. ყველაზე გრძელი მდინარე აზიაში; 16. უძველესი ქართული სამეფო; 18. ურჩი, ჯიუტი ცხენი; 20. ფრანგი მოდელიორი; 21. რომელიმე ენის სიტყვათა მარაგი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ბრიხი; 2. სტელა; 3. ანორაკი; 4. დოღი; 5. ცემი; 6. სტაიერი; 9. საგინაშვილი; 10. აშპაშხანა; 11. შუშაბანდი; 14. ლექსი; 16. ჩეიზი; 18. სეინერი; 20. დურბანი; 23. აუდი; 25. სტეპი; 24. სარკე; 26. ბოტი.

თარაზულად: 7. ონტოლოგია; 8. რეზერვატი; 12. მარში; 13. მურეი; 15. ელისო; 17. ქონდაქარი; 19. ხავსი; 21. სიონი; 22. ოდერი; 27. ტრუბადური; 28. რესტორანი.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. თავაძე; 2. მირაჟი; 3. სმეტანა; 4. ჟინვალი; 5. სუფიქსი; 7. ბორუსია; 11. ჟესტი; 12. ჩონჩხი; 13. ვიმპელი; 14. გლობუსი; 15. ნისანი; 17. აცტეკა; 19. ჯიდა.

თარაზულად: 5. სანაცია; 6. კალმარი; 8. ჟირო; 9. ფარჩა; 10. ქაშერი; 11. ჟოლო; 13. ვაპორეტო; 14. გესლი; 16. რანჩო; 18. პეპსი; 20. სპიდვო; 21. ნესკაფე.

სალომე ქათამაძე ბიჭის დედა გახდა

მომღერალი სალომე ქათამაძე, რომელიც ამერიკაში წავიდა, ბიჭის დედა გახდა.

სალომეს არც თავისი ქორწინების და არც ორსულობის ამბავი გაუსაჯაროებია, მხოლოდ რამდენიმე კვირის წინ გამოაქვეყნა ფოტო, საიდანაც ფართო საზოგადოებამ შეიტყო, რომ ის დედა გახდებოდა.

ახლა კი სალომემ თავის ბიჭთან ერთად გადაღებული ფოტო ინტერნეტში გაავრცელა და უამრავი მილოცვა და საუკეთესო სურვილებიც მიიღო.

„ყველაზე ძლიერი“ შორენა ბეგაშვილმა დატოვა

რეალური შოუ „ყველაზე ძლიერი“ მსახიობმა შორენა ბეგაშვილმა დატოვა.

შოუში დარჩენილთა შორის ბრძოლა სულ უფრო დაუნდობელი ხდება. გუნდებში უფრო ცოტა კონკურსანტი რჩება და თითოეული მათგანი გამარჯვებისთვის იბრძვის.

როგორც შორენამ განაცხადა, ამ შოუში ყოფნისას საკუთარ თავში ბევრი ახალი თვისება აღმოაჩინა და გააკეთა ის, რის გაკეთებაზეც არასდროს იფიქრებდა, მათ შორის, უმი ხორცის ჭამასაც.

შორენა ბეგაშვილი:

– წარმოდგენა არ მაქვს, რატომ მინდოდა ამ პროექტში მონაწილეობა. მინდოდა, ცოტა სხვა კუთხით დამენახა ჩემი თავი და არა იმას, რასაც ვხედავ ყოველდღიურად გადაღებებზე თუ ფოტოსესიებზე. ყველაზე მეტად დახურული სივრცის მეშინია, მაქვს კლაუსტროფობია, არ ვიცი ცურვა, სხვა დანარჩენის არაფრის მეშინია. მთელი სულით და გულით ვიყავი ამ პროექტში და ყველაფერს ვაკეთებდი, რაც შემეძლო. კარგი მეგობრები შევიძინე, უდიდესი გამოცდილება მივიღე, მართლა არ ვიცოდი, ამდენის გაკეთება თუ შემეძლო.

თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის ფილმებს რომში გამოფენა მიეძღვნა

დიდი ქართველი რეჟისორების თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებული ფილმების მიხედვით ხელოვნების სასახლემ რომის ისტორიული კინოთეატრის საგამოფენო დარბაზებში გამოფენა მოაწყო.

ხელოვნების სასახლემ წარმოადგინა გამოფენა სახელწოდებით „იტალიური ნეორეალიზმი ქართულ კინოში“. ექსპოზიცია ქართველი რეჟისორების თენგიზ აბულაძისა და რეზო ჩხეიძის მიერ გადაღებულ იმ ფილმებს მოიცავს, რომლებიც იტალიური ნეორეალიზმის აშკარა გავლენას განიცდიან. ეს ფილმებია „მაგდანას ლურჯა“, „სხვისი შვილები“, „ჩვენი ეზო“.

გამოფენა რომში ქართული კინოს დღეების ფარგლებში მომზადდა. დაგეგმილ ღონისძიებებს ორგანიზებას უწევენ საქართველოს საელჩო იტალიის რესპუბლიკაში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და ეროვნულ კინოცენტრი.

გიორგი ოვაშვილის ახალმა ფილმმა დაფინანსება მოიპოვა



რეჟისორ გიორგი ოვაშვილის რიგით მეოთხე სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის პროექტმა „მთვარე მამაა ჩემი“ საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრის 2019 წლის ქართულ-უცხოური ერთობლივი წარმოების კონკურსის დაფინანსება მოიპოვა.

„მთვარე მამაა ჩემი“ რეალურ ისტორიაზე დაფუძნებული ფსიქოლოგიური დრამაა და იმ ადამიანის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც ცდილობს მოძებნოს ცხოვრებაში საკუთარი ადგილი.

გიორგი ოვაშვილის მიერ აქამდე გადაღებულმა სამმა ფილმმა „სიმინდის კუნძული“, „გაღმა ნაპირი“ და „ხიბულა“ არაერთ საერთაშორისო კინოფესტივალზე გაიმარჯვა.

ფილმს „საქართველო ღვინის სამშობლო“ საფრანგეთში სპეციალური პრიზი მიანიჭეს

საფრანგეთში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ყოველწლიურ ფესტივალზე „ოენოვიდეო“ ქართულმა ფილმმა „საქართველო ღვინის სამშობლო“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა.

ქართული სამეცნიერო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „საქართველო ღვინის სამშობლო“ ნომინირებული იყო მეღვინეობა-მევენახეობისადმი მიძღვნილი ფოტოგრაფიისა და კინემატოგრაფიის მსოფლიოში ყველაზე დიდი ისტორიის მქონე ფესტივალზე.

ფესტივალი ყოველწლიურად საფრანგეთში ქალაქ მარსელის „ევროპისა და ხმელთაშუა ზღვის ცივილიზაციების მუზეუმში“ იმართება. წელს, ფესტივალის შესარჩევ ეტაპზე, მონაწილეობდა 144 ფილმი მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, ნომინანტების სიაში კი მათგან მხოლოდ 37 მოხვდა, მათ შორის, „საქართველო ღვინის სამშობლო“.

დავით ფოცხიშვილი ქართული ნაციონალური ცეკვის აღმასრულებელი საბჭოს შექმნას ითხოვს

ქორეოგრაფი დავით ფოცხიშვილი ქართული ნაციონალური ცეკვის აღმასრულებელი საბჭოს შექმნას ითხოვს:

– ვუსმენდი მიხელ ყაველაშვილის საუბარს და ძალიან სასიხარულოა, სპორტის განვითარებაში ამხელა თანხები რომ იდება. ბრავო! რა კარგად ჩამოაყალიბა ის, რომ სპორტში ჩადებული თანხები ხელს შეუწყობს ადამიანების ჯანმრთელობას და აღარ გვეყოლება ამდენი დასნეულებული ადამიანი. ეს ყველაფერი კი ბიუჯეტში მოგროვებულ თანხებს მთლიანად ჯანდაცვაში აღარ გადაისვრისო. მხარს ვუჭერ და კიდევ ერთხელ ბრავო! ყოველთვის მაღლა იდგნენ სპორტსმენები კულტურის მოხელეებზე. კარგია სპორტული მოედნები და ა.შ.

მაგრამ სპორტი იმდენად არ ავითარებს ადამიანის კულტურას, რამდენადაც ხელოვნება. ამდენი სკვერი გაკეთდა და არ შეიძლება წელიწადში ერთხელ ამ ადგილებში აშენდეს პატარ-პატარა გამჭვირვალე და ლამაზი ქორეოგრაფიული დარბაზები? არ შეიძლება? ფაქტიურად პირველმა ქართულმა ცეკვამ მოახდინა ფურორი მსოფლიოში. ააშენეთ ქართული ცეკვის ქორეოგრაფიული სახლები, ბავშვები იმდენ რამეს ისწავლიან, თქვენ ვერც წარმოიდგენთ.

არ შეიძლება კულტურის სამინისტროში ოფიციალურად შეიქმნას რამდენიმე ადამიანისგან შემდგარი ჯგუფი, რომელიც უშუალოდ გააკონტროლებს ქართულ ნაციონალურ ქორეოგრაფიას? ჭირვით მოედო ყოველად დეგრადირებული ანსამბლები საქართველოს. ვისი სკრიპკა ვის როიალშია, ვეღარ გაიგებს ნორმალური ადამიანი. იპარავენ ნახაზებს, მელოდიებს, ილეთებს სიუჟეტებს და ა.შ. დადიან მსოფლიოში ჯიშგაურკვევლად ჩაცმულები და აფუჭებენ ქართული ფოლკლორის ხარისხს.

დროა შეიქმნას ჯგუფი! ბევრი ახალგაზრდა ქორეოგრაფი შევიკრიბეთ და აუცილებლად დავწერთ წერილს და გავაგზავნით პრემიერ-მინისტრთან. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: დროა კულტურის სამინისტროში შეიქმნას ქართული ნაციონალური ცეკვის აღმასრულებელი საბჭო.

ეს იდეა დიდი ხანია არ მასვენებს და დავძრათ ეს ეროვნული საქმე, რა იქნება! ასეთი ფენომენალური ხელოვნება სხვა ერს რომ ჰქონდეს...

ირაკლი კაკაბაძე: „ქართული ხალხური მეკურტუმეობა იყო აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენა“

დრამატურგი ირაკლი კაკაბაძე ქართული მეკურტუმეობის შესახებ დეტალურ ინფორმაციას ავრცელებს:

– როდესაც 2013 წელს ვთქვი, რომ საქართველოში ჰომოსექსუალობის, ანუ მეკურტუმეობის საკუთარი ტრადიციები არსებობდა-მეთქი, კონსერვატორებიც და ლიბერალებიც ერთნაირად გამებუტნენ.

ქართული ხალხური მეკურტუმეობა იყო აბსოლუტურად განსხვავებული მოვლენა და ჩვენი ერის მეტად საინტერესო ფსიქო-კულტურული თავისებურებები ახასიათებდა. როდესაც დღევანდელი ლიბერალები გვიმტკიცებდნენ, რომ ეს მოვლენა ძველ საქართველოში მთლიანად აკრძალული და შერისხული იყო, ეს არაა მართალი.

რელიგია ყველგან და ყველა ქვეყანაში ყოველთვის მოუწოდებს ადამიანს თავშეკავებისაკენ, როგორც ჰეტერო-სექსუალებს, ცოლის და ქმრის ღალატისგან, ასევე ჰომოსექსუალებს. ვინც მორწმუნეა, მისთვის ყველანაირი ღმერთისგან უსანქციო, ქორწინების გარეშე სექსი გარყვნილებაა. მაგრამ ფოლკ-კულტურა სხვა რამეა. აქ ბევრი რამე დაშვებული იყო.

სხვათა შორის, კავკასიური და კერძოდ, ქართული მეკურტუმეობა, სჯობია ქართული და კულტურული ლექსიკონით ვისარგებლოთ და არა იმპერიალიზმის დისკურსით თავსმოხვეულით, ბევრი კულტურული თავისებურებით ხასიათდებოდა და მათ წინააღმდეგ განსაკუთრებული დისკრიმინაცია არ ყოფილა. ჩვენს ქვეყანაში ბევრი ცნობილი მეკურტუმე კინტო იყო, მაგალითად, უშანგი უჯმაჯურიძე. და ისინი ბალადებსაც მღეროდნენ სასიყვარულოს და მათ ამის გულისათვის არავინ ხოცავდა.

კინტოს კულტურა თბილისში, და არა მარტო, სწორედაც რომ ამას ემსახურებოდა. აღმოვაჩინეთ უშანგი უჯმაჯურიძის ბალადა, დიდი მადლობა ირაკლი გოგიას ამ მეკურტუმე ხელოვანის ვინაობის მოძებნაში, და ის ზუსტად აგვიწერს 1950-იან წლებშიც კი შემორჩენილ ხალხურ ტრადიციას, მეკურტუმეობისას. თუმცა ამას საზოგადოება არ უყურებდა დისკრიმინაციის თვალით მაშინ.

საქმეც ისაა, რომ ყველა ქვეყანას და ყველა კულტურას თავისი ტრადიციები აქვს ნებისმიერი მოვლენისა და თუ ამ ეროვნულ ტრადიციებს გადავუხვევთ, მაშინ ტყუილად გვიბრძოლია დამოუკიდებლობისთვის. დიახ, ყველა ერმა საკუთარ ტრადიციებს უნდა მისდიოს და არა სხვებისგან გააკეთოს კოპპი პეისტი.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა. თოდუების საგვარეულო მალამო არის ბუნებრივი მეთოდებით დამზადებული წამლები, რომლებიც ათეულობით წლების განმავლობაშია ნაცადი. დღეს ამ ცნობილი გვარის წარმომადგენელი არის ლამარა თოდუა, რომელსაც უამრავი მადლიერი პაციენტი ჰყავს.

ქალბატონ ლამარას მომზადებული მალამოები და ნიღბები კანს სრულ ელასტიურობას უბრუნებს, ხელს უშლის კანის დანაოჭებას, სრულად არჩენს ჩირქოვან გამონაყარს. სწრაფად ახორცებს ნებისმიერი ხარისხის დამწვრობას, ყოველგვარი ნაირევის და ლაქების გარეშე.

ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. კუჭის წყლულს; 11. გულძმარვას („იჟოგას“); 12. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 13. გამაგრებულ ნანემსარს; 14. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 15. მოვხსნი მეჭეჭებს; 16. განვკურნავ ჭიებისგან; 17. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 18. სოკოვან დაავადებებს; 19. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.
ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82

ახალი თაობა

Akhali Taoba

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

20 ივნისისთვის

აშშ დოლარი — 2.7871

ევრო — 3.1229

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 3.5084

100 რუსული რუბლი — 4.3046

ამინდის პროგნოზი 20 ივნისისთვის

„ახალი თაობა“

წარმოგიდგენთ სერიას

„მე მიყვარს კითხვა“

11 ივნისიდან

ვაჟა-ფშაველა

მოთხრობები

ფასი გაზეთთან ერთად 7 ლარი

18 ივნისიდან

ანე ფრანკი

თავშესაფარი

ფასი გაზეთთან ერთად 10 ლარი

31 მაისიდან

დიდი ქართველი მეფეები

ფასი გაზეთთან ერთად 14 ლარი

იუმორი

დირექტორი მოსწავლეებს მათ ახალ მასწავლებელს წარუდგენს:

– აი ბავშვებო, გაიცანით, დღეიდან ეს თქვენი ახალი მასწავლებელი იქნება და იმედი მაქვს, მოგეწონებათ.

– ფიგურას არა უშავს, – ჩაილაპარაკა გიგიმ.

– მე თვითონ შევარჩიე! – უპასუხა დირექტორმა.

•••

ერთი ქალი მეორეს ეუბნება:

– იცი, კამასუტრა თავიდან ბოლომდე წავიკითხე...

– მერე?

– ვიტირე...

– რატომ?

– რა და მაინც არ დაქორწინდნენ..

•••

საწარმოს დირექტორს ნათესავი ეკითხება:

– გავიგე, თანამშრომლებს შენთვის დაბადების დღეზე თუთიყუში უჩუქებიათ.

– ჰო, ძალიან ლამაზი ფრინველია, მხოლოდ ეგაა, მთელი დღე გაჰყვირის: „დაუყოვნებლივ მოუმატე ხელფასი თანამშრომლებს!“

•••

კაცი ქალს ეუბნება:

– ძალიან ლამაზი ხარ!

– ჩემთან სექსი გინდა?

– თანაც ჭკვიანიც!

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– ქალწული ხარ?

– ნუ... ცოტათი...

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ჟოზე მოურინიოს სანაკრებო კარიერის დაწყება სურს

ჟოზე მოურინიო კვლავინდებურად უგუნდოდ არის და მან ერთ-ერთ ინტერვიუში ისაუბრა იმის შესახებ, რომ ნაკრებში სურს მუშაობა.

მოურინიოს თქმით, საკლუბო ფეხბურთში მან ყველაფერს მიაღწია და ახლა მისთვის სანაკრებო კარიერა უფრო საინტერესოა:

– სიამოვნებით ვიმუშავებდი რომელიმე ნაკრებში, თუმცა მე მაქვს გარკვეული ამბიციები და ეს ნაკრები ამ ამბიციებს უნდა აკმაყოფილებდეს. პორტუგალიის ნაკრებზე არ ვფიქრობ, რადგან იქ ძალიან კარგი მწვრთნელი მუშაობს.

მოურინიო მანჩესტერ იუნაიტედიდან დეკემბერში წავიდა და მას შემდეგ ის უგუნდოდ არის.

მატს ჰუმელსი დორტმუნდის ბორუსიაში დაბრუნდა

მიუნხენის ბაიერნის აწ უკვე ყოფილი მცველი მატს ჰუმელსი მომავალ სეზონში კარიერას დორტმუნდის ბორუსიაში გააგრძელებს.

ჰუმელსი ბორუსიასთან 3-წლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს და მისი ტრანსფერი დორტმუნდელებს 33 მილიონი ევრო დაუჯდებათ.

ჰუმელსი 2016 წლამდე ბორუსიას ფეხბურთელი იყო და მაშინ მის ბაიერნში ტრანსფერს დიდი ხმაური მოჰყვა.

საინტერესოა, როგორ მიიღებს ბორუსიას გულშემატკივარი უკან დაბრუნებულ მატს ჰუმელს, რომელსაც რამდენიმე წლის წინ მოღალატეს ეძახდა.

ბრაზილიამ კოპა ამერიკაზე ვენესუელას ვერ მოუგო

ბრაზილიის ნაკრები საკუთარ მოედანზე კოპა ამერიკის ჯგუფური ეტაპის მეორე თამაშში ვენესუელას შეხვდა და მისი დამარცხება ვერ მოახერხა. მატჩი ფრედ 0:0 დასრულდა. ბრაზილიის ნაკრები მთელი მატჩის მანძილზე ფლობდა უპირატესობას, თუმცა ვენესუელა თავს კარგად იცავდა და ბრაზილიელებმა გოლის გატანა ვერ შეძლეს.

მატჩის შემდეგ ბრაზილიის ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა ტიტემ განაცხადა, რომ მისმა გუნდმა კარგად ითამაშა და უბრალოდ არ გაუმართლა. შემდეგ მატჩს ბრაზილია პერუს ნაკრების წინააღმდეგ გამართავს.

ლუის ენრიკე ესპანეთის ნაკრებიდან მიდის

ესპანეთის ნაკრებს უახლოეს მომავალში ახალი მწვრთნელი ეყოლება. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუის ენრიკე პოსტის დატოვებას აპირებს და მალე ის ამის შესახებ ხმამაღლა იტყვის. მიზეზი ჯერჯერობით უცნობია, თუმცა ესპანურ მედიაში გავრცელდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ლუის ენრიკეს ოჯახის წევრი სერიოზულ დაავადებას ებრძვის და ამის გამო ბოლო რამდენიმე თვეა, ლუის ენრიკე ნაკრებში თითქმის არ გამოჩენილა.

ბარსელონას ფეხბურთელებს ნეიმარის დაბრუნება უნდათ

ნეიმარის ბარსელონაში დაბრუნება სულ უფრო რეალური ხდება. ბრაზილიელ ფეხბურთელს პსჟ-ს ხელმძღვანელობასთან კონფლიქტი აქვს და პსჟ-ს პრეზიდენტმა ის უკვე ხმამაღლა გააკრიტიკა და თქვა, რომ ნეიმარისთვის არავის დაუძალებია პსჟ-ში გადასვლა. ბარსელონას ფეხბურთელები ნეიმარის დაბრუნებას მიესალმებიან, განსაკუთრებით ეს მესის სურს.

გარდა ამისა, გავრცელდა ინფორმაცია, რომ ნეიმარი ბარსელონაში იმ სახლის მეპატრონეს დაუკავშირდა, სადაც ბარსელონაში თამაშის დროს ცხოვრობდა.

ამჟამად ნეიმარს ტრავმა აქვს, რის გამოც მან კოპა ამერიკა გამოტოვა.

მოამზადა ბექა ვოგანაშვილმა

ჯოსვოხდი ১



შვეულად: 1. თვალის ფერადი გარსი; 2. მწყემსი სამხრეთ ამერიკაში; 3. ხვიარა მცენარეებით გაფორმებული საჩრდილობლები პარკებში; 4. ქართული ნაციონალური ტანსაცმელი; 5. პერუს დედაქალაქი; 6. ყნოსვის უნარის დაქვეითება, დაკარგვა; 9. თანამედროვე ქართველი მოქანდაკე; 10. სამედიატორო სასამართლო; 11. სიბერით გამოწვეული დაავადებათა შემსწავლელი და მკურნალობის მეთოდების დამდგენი მედიცინის დარგი; 14. გერმანული კოსმეტიკური ფირმა; 16. საქართველოს რაგბისტთა ნაკრების მწვრთნელი; 18. მსოფლიოში ერთ-ერთი უმსხვილესი ამერიკული ქიმიურ-სამრეწველო კომპანია; 20. უდაბნოში მზარდი მცენარე; 23. უძველესი ტერიტორიული ერთეული საქართველოში; 24. ზღვისპირა კურორტი ბულგარეთში; 25. კუთხე საქართველოში; 26. ჰოლანდიის ფეხბურთელთა გუნდი.

თარაზულად: 7. გადამფრენი ფრინველების პერიოდული მოვლენების შემსწავლელი ბიოლოგიის ნაწილი; 8. ნავთობის, ბუნებრივი აირის უდიდესი საბადო ირანში; 12. ცხოველის ტანზე დასმული დამღა; 13. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 15. ვაშლის ღვინო; 17. ესპანელი ფერმწერი; 19. საქართველოში მზარდი ტროპიკული მცენარე, რომლისგანაც ამზადებენ მაღალხარისხოვან ტექნიკურ ზეთს; 21. აეროპორტი პარიზში; 22. მუსიკალური წამყვანი დისკოთეკაზე; 27. ძველი იშვიათი ნივთების შემფასებელი, მოვაჭრე; 28. ძველებური ქართული ქალაქური ცეკვა.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა

ХАН ЧАН ЗАН + МА ИН ДОН

გამოიყენება ბუასილის სამკურნალოდ

ЖИАН ЗИ ЗАН

კუჭ-ნაწლავი, უმადობა იმუნიტეტი

БУЙ ФУ ДИ ЖУАНЬ ЗАН + СУН САО

აუმჯობესებს პოტენციას

ჩვენ გვჭირდება პიროვნება, რომელიც წამლების რეალიზაციას შეძლებს

BOAI

ბოაი

ჩინური მედიცინის ცენტრი და აფთიაქი

არც ერთი წამალი არ შეიცავს ქიმიურ დანამატს

მისამართი: ვაკე, ილია ჭავჭავაძის №15
მობ. ტელ: 568-73-73-44
www.facebook.com/Boaigeorgia/